CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## ღირს, საერთოდ, შაურმის ჭამა?

იცით, კიდევ რა აღმოაჩინა ექსპერტიზამ ნიმუშებში?



N15/2945/ 31 იანვარი, 3 თებერვალი 2014 წ
ფასი 1 ლ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

ექსპერტი

ვინ გადაიხადა ფული და ვინ დგას „ვანოს ვიდეოს“ უკან?



## ექსპერტი



რატომ იტირა მერაბიშვილმა პროცესზე და რას უქადის „ორი გვამის“ ვიდეო...

## ვანო მერაბიშვილმა ოჯახს ბოდიში უკვე მოუხადა. როდის მოუხდის ბოდიშს ხალხს?



ვანო მერაბიშვილი ოჯახს ბოდიშს უხდის. როგორც მერაბიშვილმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განაცხადა:

„ჩემ გამო ძალიან ბევრი ადამიანი განიცდის ზეწოლას. ჩემს გამო ჩემი ოჯახის წევრები განიცდიდნენ ყოველდღიურ ზეწოლას მთელი 9 წლის განმავლობაში და ჩემდა სამწუხაროდ, ეს არ წყდება დღესაც. მინდა, მათ ბოდიში მოვუხადო და ვუთხრა, რომ მიყვარს“, – განაცხადა მერაბიშვილმა.

ყოფილი პრემიერი ამ სიტყვების შემდეგ ატირდა, რის გამოც მისმა ადვოკატმა ოთარ კახიძემ სასამართლო პროცესზე შესვენების გამოცხადება ითხოვა. მოსამართლემ დაცვის მხარის თხოვნა დააკმაყოფილა და სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. (ინტერპრესნიუსი)

სინამდვილეში რისთვის ჩამოვიდა და რა შეიძლება სთხოვოს დიდი ხნის მეგობარ მარგველაშვილს ბრაიზამ?



## კულუარები



პროკურატურამ შვეიცარიიდან სკანდალური დოკუმენტი მიიღო



ვის რა თანხები აღმოაჩნდა იქაურ ანგარიშებზე?

## ფრთხილად, დიდთოვლობა დაიწყო



გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში წვიმს და შესაძლოა, მთაში წვიმა თოვლში გადავიდეს.

თოვლის საფარმა მოიმატა გუდაურში და იგი 70 სმ-ს შეადგენს, რიკოთზე – 120 სმ-ს; მესტიაში – 50 სმ-ს; შოვში – 32 სმ-ს და ბაკურიანში – 28 სმ.

1-ლი თებერვლიდან თოვა ჯერ დასავლეთ საქართველოში შეწყდება, შემდეგ დღეებში კი აღმოსავლეთ საქართველოშიც თანდათან შესუსტდება.

მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოში 1-ლი თებერვლიდან ყინვებია მოსალოდნელი. კერძოდ, ბარში ღამით იქნება -10;-5 გრადუსი; დღისით -6;-1; მთაში ღამით -13;-8; დღისით -8;-3; მაღალ მთაში ღამით -18;-13; დღისით -12; -6;

2 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით -15;-10; დღისით -7;-2; მთაში -20;-15; დღისით -9;-4; მაღალ მთაში -25-20; დღისით -12;-7.

ყინვიანი ამინდები საქართველოში თებერვლის პირველი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

ვისი დავალებით ჩავიდა ადეიშვილის მოადგილე კეზერაშვილის პროცესზე?



## რას საუბრობენ პროკურატურის კულუარებში მერაბიშვილის ვიდეორგოლზე?



რას აპირებს ნათელაშვილი, თუკი ივანიშვილმა მისი მოთხოვნები არ შეასრულა?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გუბერნატორი მოსახლეობას პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა

ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი და მისი მოადგილე დავით ვარდიაშვილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის მოსახლეობას



შეხვდნენ და არსებულ პრობლემებს ადგილზე გაეცნენ. მღებრიშვილი ახალსოფლის მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული სასმელი წყლის პრობლემის გადაჭრას დაჰპირდა.

„ჩემი თვალით ვნახე, რა გაუსაძლის ყოფაში უწევთ ამ ადამიანებს ცხოვრება. ვიყავი იმ ადგილზე, საიდანაც ახალსოფლელები წყალს ეზიდებიან. სანამ სხვა საქმეებზე გადავალთ, ქვემო ქართლის მოსახლეობას ელემენტარული ყოფითი პრობლემები უნდა მოვუგვაროთ. ეს სახელმწიფოს და ჩემი, როგორც მხარის გუბერნატორის, უპირველესი მოვალეობაა. წყალგაყვანილობის სისტემის აღდგენითა და გამართვით, ამ ორი სოფლის საცხოვრებელი პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდება. პროექტის განხორციელების პროცესს პირადად გავაკონტროლებ. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე კი დროებითი წყალმომარაგების სისტემა მოეწყობა", – განაცხადა მღებრიშვილმა.

სოფელ საცხენისსა და ახალსოფელში წყლის სათავე ნაგებობებისა და წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან 109 900 ლარია გამოყოფილი.

(ინტერპრესნიუსი)



# ვისი დავალებით ჩავიდა ადეიშვილის მოადგილე კეზერაშვილის პროცესზე?

მაშინ, როცა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი სასამართლო დარბაზში ნიანგის ცრემლებს აღვარლვარებდა, ანუ 30 იანვარს, დავით კეზერაშვილი ექსან პროვანსის სასამართლოში ირონიულად დასცინოდა საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მის სასამართლო პროცესზე გამოჩნდა სააკაშვილის ხელისუფლების იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თინათინ ბურჯალიანი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ექსტრადირების საკითხში მისი სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე. მას დიდი სანაცნობო წრე ჰყავს საფრანგეთში. ოფიციალური ცნობით, ბურჯალიანი მარსელიდან ჩავიდა ექსან პროვანსში, როგორც მეგობარი, მეგობარს გულშემატკივრობდა, თუმცა, როგორც ჩანს, ქალბატონმა თინათინმა კარგად იმუშავა ფრანგულ მხარესთან და შედეგიც დადგა. ფრანგი პროკურორი საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრის დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიციის წინააღმდეგია, მან განაცხადა: „აუცილებელია ქართულ მხარეს უარი ეთქვას დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე, შემდეგი მიზეზით – საქმე დაუსაბუთებელია და იკვეთება პოლიტიკური მოტივები". საფრანგეთის სასამართლო კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიციის საკითხზე მსჯელობს და მოსამართლის გადაწყვეტილება 27 თებერვალს იქნება ცნობილი, ხოლო მისი პატიმრობაში დატოვების ან განთავისუფლების გადაწყვეტილებას მოსამართლე 3 თებერვლისთვის დაგეგმილ პროცესზე მიიღებს. ფრანგი მოსამართლე დაინტერესდა, რატომ არ იყო გამოცხადებული ძებნა ჯანაშვილზე, რომელიც კეზერაშვილის დაკავების მომენტში მასთან იმყოფებოდა და ქართული სასამართლო მას იგივეს ედავება, რასაც კეზერაშვილს. იმიტომ ხომ არა, რომ საქმეში პოლიტიკური მოტივებია?.. ფრანგი მოსამართლის ამ შეკითხვას საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლის, დონდოლაძის არცთუ ისე დამაჯერებელი პასუხი მოჰყვა, რომ პოლიტიკური მოტივების არსებობა გამოირიცხება. კეზერაშვილთან მიმართებაში ბევრი კითხვა არსებობს და უმჯობესი იქნება, თუ ის ამ კითხვებს პასუხს საქართველოში გასცემს.

ამ თემას „კვირის ქრონიკა" ორშაბათის ნომერში ვრცლად გააშუქებს, თუმცა მანამდე არსებობს ძალიან ბევრი ეჭვი იმის შესახებ, რა როლს თამაშობს „ნაციონალური მოძრაობის" იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, თინათინ ბურჯალიანი, რატომ არის ის დაინტერესებული კეზერაშვილის პროცესით, ფრანგი სამართალდამცავები შეცდომაში ხომ არ შეჰყავს? „ნაციონალებისა" და კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის მომავალი დიდწილად დამოკიდებულია კეზერაშვილის სასამართლო პროცესზე. ამ ეტაპისთვის ერთი რამის თქმა შეიძლება, რომ ფრანგი სამართალდამცავები კეზერაშვილისა და „ნაციონალების" სასარგებლოდ იხრებიან, თუმცა რის ფასად, ესეც გაირკვევა, კეზერაშვილი კი, თავის მხრივ, ინტერვიუების მიცემის ხასიათზე დადგა და ფრანგულ გამოცემა „ლე პარიზიანთან" ექსკლუზიურად ალაპარაკდა, თუ როგორ იდევნება პოლიტიკური ნიშნით ახალი ხელისუფლების მხრიდან, თურმე ის არ არის ოლიგარქი, სულაც არ იყო ბიზნესმონოპოლისტი საქართველოში, მას თანამდებობრივი პოზიცია და პოლიტიკური კავშირები ქონების დაგროვებისთვის თურმე არასდროს გამოუყენებია, თურმე არავისთვის „აუხევია" ბიზნესები, თურმე ოფშორებში დარეგისტრირებულ კომპანიებში მილიარდიანი ბრუნვები საკუთარი შრომის ფასად მოუპოვებია, თანაც რეკორდული სისწრაფით – 4 წელიწადში. ის ჟურნალისტს უხსნის, როგორ დატოვა 2008 წელს მთავრობა და როგორ გადაწყვიტა თავდაცვის ომწაგებულმა მინისტრმა, შეექმნა კომპანია, რომელიც კასპიიდან შავ ზღვამდე ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებას მოახდენდა. ყველაზე ხმაურიანი და სასაცილო განცხადება კეზერაშვილის არის შემდეგი: „მე პოლიტიკა არასოდეს დამიტოვებია, ვრჩები ერთგული და ძალიან აქტიური წევრი „ნაციონალური მოძრაობისა" და ვემხრობი, წავიდეთ არჩევნების გზით და მოვემზადოთ მომავალი არჩევნებისთვის". თურმე კეზერაშვილი რებრენდირებული „ნაციონალების" იმ გეგმის ნაწილია, რასაც „ნაცებში" „დაბრუნება 2016 წელს" ეძახიან. ასე, რომ პარტიის მთავარი დამფინანსებელი „პატიოსანი კეზერა" ევროპიდან გვმოძღვრავს, არა რევოლუციით, არამედ, არჩევნებით დავბრუნდებიო. თავდაცვის ექსმინისტრი „ნიჩურიტებით" გაოცებას გამოხატავს, რომ საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საქართველოს ახლანდელ მთავრობასთან თანამშრომლობს, თუმცა იქვე ინტერვიუში ამბობს, რომ საფრანგეთის მართლმსაჯულებას ენდობა. ამაზე მეტი დაცინვა არ გენახოთ...

და კიდევ, მაშინ, როცა პარტიის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის სკანდალური ჩანაწერი გამოქვეყნდა, სადაც ის ითხოვს ორი კაცის გვამს დიდი პრემიის სანაცვლოდ, როგორც გაირკვა, ერთ გვამში ივანე მერაბიშვილს პრემიის სახით 13 ათასი ლარი აქვს გადახდილი, პარტიას, რომელიც ეჭვმიტანილია სისტემურ დანაშაულში. კეზერაშვილი ფრანგ ჟურნალისტთან საუბარში აცხადებს, რომ თურმე ამ ბოროტი ხელისუფლების მიზანია კეთილშობილ „ბანოვანთა" საზოგადოების, ანუ „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების დისკრედიტაცია და მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის ფინანსური დასუსტება, რათა შეუძლებელი გახადოს სხვა პოლიტიკური ძალის არსებობა.



ესეც თქვენი ევროპა... მე არ ვიცი, რამდენად აოცებს ევროპას ბიძინა ივანიშვილის საქართველო, მაგრამ ევროპამ რომ გაგვაოცა კეზერაშვილის საქმიდან გამომდინარე, ეს ფაქტია... „ბებერ ევროპაში" ფული არა, მაგრამ საქმეები დიდი ფულით კეთდება. ისე კი საინტერესოა, 49 მილიონი ლარით რომ ეზარალებინა ბიუჯეტი რომელიმე ფრანგ ჩინოვნიკს, რას უზამდნენ?! სამწუხაროდ, საქართველო ევროპას თანასწორად ჯერ კიდევ არ აღიქვამს. მას სჭირდება მხოლოდ ჩვენი ბაზარი და არა პარტნიორი სახელმწიფო...

საინტერესოა, ქართული მხარის პოზიცია, რას დაუპირისპირებს კეზერაშვილის საქმესთან დაკავშირებით საფრანგეთის მართლმსაჯულება.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ახალი ლაბორატორიის მშენებლობას გეგმავს



ბიუროს ცნობით, 2014 წელს იგეგმება სრულიად ახალი ლაბორატორიის მშენებლობა და მოწყობა. ასევე, მომხმარებელი მიიღებს მიტოქონდრიული დნმ-ის კვლევის ახალ სერვისს – მოჭრილი თმისა და ხანდაზმული, დაზიანებული დნმ-ის სექვენირებას და ინდენტიფიკაციას.

„ბოლო წლებში, დნმ ლაბორატორიაში X ქრომოსომის ანალიზის უახლესი მეთოდის დანერგვით შესაძლებელი გახდა როგორც პოპულაციური და ანთროპოლოგიური კვლევების ჩატარება, ისე გენოტიპირების სხვა მეთოდებთან ერთად, მეორე რიგის ნათესავებს (ბებია-შვილიშვილი-გოგონა) შორის ბიოლოგიური კავშირის დადგენა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელმიუწვდომელია ან საერთოდ არ არსებობს საკვლევი პირის ერთ-ერთი ან ორივე მშობლის ბიოლოგიური ნიმუში. ამავდროულად ადგენს მუტაციებს, რომლებიც დიდი როლს თამაშობს მემკვიდრული თრომბოფილიისა და ძუძუს კიბოს განვითარებაში... ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზა უმნიშვნელოვანესი და ღირებული სფეროა არა მხოლოდ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, არამედ საქართველოში და კავკასიის რეგიონში". – აცხადებენ ეროვნულ ბიუროში.

(ინტერპრესნიუსი)

## ყაჩაღებმა მამაკაცი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს



ინციდენტი სამი დღის წინ მოხდა. ამ დროისთვის დადგენილი ორი პირი ჯერ მოქალაქე რ.დ.-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში შეეჭრა, აწამა და ყელი გამოჭრა, შემდეგ გარდაცვლილის მანქანა გაიტაცა და მიმალვას შეეცადა, თუმცა ავტოავარიაში მოყვა, რის გამოც დაზიანებული ავტომანქანის მიტოვება მოუწიათ. ამის შემდეგ ბოროტმოქმედებმა გამვლელი ტაქსი დააყაჩაღეს და ავტომანქანა მიისაკუთრეს.

სამართალდამცველებმა ისინი სწორედ ტაქსის მძღოლის დაყაჩაღებაზე დააკავეს, თუმცა დაკითხვების პროცესში რამდენიმე დღეში დაკავებულებმა აღიარეს, რომ მკვლელობაც ჰქონდათ ჩადენილი.

ახალგაზრდებმა განაცხადეს, რომ ერთ-ერთი მათგანი რ.დ.-ს ხელებს უკავებდა, მეორემ კი ყელი გამოჭრა. რომ არა მათი აღიარება, მოკლულს, რომელიც სახლში მარტო ცხოვრობდა, ალბათ, კიდევ დიდხანს არ მოიკითხავდნენ. ამ აღიარებამდე მისი ცხედარი სახლში 4 დღის განმავლობაში იყო და ამის შესახებ არავინ იცოდა. (ფრონტნიუსი)

## ქალაქებისთვის ურბანული განვითარების გეგმები შეიქმნა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, მინისტრმა დავით ნარმანიამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერ-



მა გიორგი კვირიკაშვილმა, ცენტრალური ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, ფოთის, ბათუმისა და რუსთავის თვითმმართველობის წევრებმა რუსთავისა და ფოთისთვის მომზადებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი მონახაზები განიხილეს.

აღნიშნული დოკუმენტი ეხება ტერიტორიული დაგეგმვის, გამწვანების, განაშენიანებისა და სხვა საკითხებს, რომლის პრაქტიკაში გამოყენებაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს ამ კუთხით არსებულ პრობლემებს.

„ეს გამოცდილება სხვა ქალაქებმაც უნდა გაიზიარონ. თვითმმართველობებმა მეტი უნდა მოინდომონ იმისთვის, რომ მსგავსი განაშენიანებისა და განვითარების გეგმები შემუშავდეს. ჯერჯერობით არის გარკვეული კითხვები, მაგრამ ეს დოკუმენტი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწება. ამ ეტაპზე ეს კარგი ბაზისია, რომ მუნიციპალიტეტებმა ეს გეგმა სამოქმედო დოკუმენტებად აქციონ და პრაქტიკაში გამოიყენონ“, – აღნიშნა დავით ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რას საუბრობენ პროკურატურის კულუარებში მერაბიშვილის ვიდეორგოლზე?

სკანდალური ვიდეოს გავრცელების შემდეგ, ვიდეორგოლის მთავარმა გმირმა ვანო მერაბიშვილმა კომენტარი გააკეთა: ჩვენი ინფორმაციით, შეთქმულების ორგანიზატორებმა მოახდინეს ლიკვიდაცია. ამ ჩანაწერში ჩანს, რომ მე ვიძლევი ამ ორი ადამიანის გვამის პოვნის დავალებას. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რათა დაგვემტკიცებინა კავშირი ამ აჯანყებასა და რუსეთს შორის.



კობა ოთანაძე

რაც შეეხება ამის ინტერპრეტირებას, თითქოს ეს არის მკვლელობის შეკვეთა, ამ განცხადებიდან, რომელიც მოისმინეთ, ერთ საათში სხვადასხვა ფორმით დაკავებულ იქნა მინიმუმ 15 ადამიანი, ამ დანაყოფების მიერ. ორ გვამში სწორედ ორი რუსი მრჩევლის გვამს ვგულისხმობდიო.

„ნაციონალებში“ თითქმის არავინ აღარ დარჩა, ვინც ვანოს უდანაშაულობაზე არ ალაპარაკდა. მათი მტკიცებით, მერაბიშვილს წინასწარი პატიმრობის ვადა უმთავრდება და ხელისუფლებას ამ ვიდეოს გავრცელება იმისთვის დასჭირდა, რომ პატიმრობაში დატოვოსო.

ამბოხის ბრალდებით გასამართლებულმა პირებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს, რა მოხდა 2009 წლის 5 მაისს. როგორც კობა ოთანაძე აცხადებს, არანაირი ამბოხება არ იგეგმებოდა. ლევან ამირიძის თქმით კი ჟურნალისტების წინაშე განცხადების გაკეთებასა და სამხედრო ნაწილის დატოვებას გეგმავდნენ, თუმცა მათ პროტესტამდე ვერ მიაღწიეს.

**კობა ოთანაძე „ალიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ შსს-ს მაშინდელ ხელმძღვანელობას არა მხოლოდ ის კადრები აქვს გადაღებული, რაც საზოგადოებამ ნახა, არამედ მისი და გია კრიალაშვილის ჩაცხრილვის ვიდეოც შენახულია:**

– აბსოლუტურად ყველაფერს იღებდა ფირზე „ნაციონალური მოძრაობა“. არა მხოლოდ სპეცოპერაციის სამზადისი აქვთ გადაღებული, არამედ ისიც, როგორ გვცემდნენ, გვაწამებდნენ და როგორ ჩაგვცხრილეს. ამაში მონაწილეობდა მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი პოლიციითა და თავისი გენერალური შტაბით. ირაკლი კოდუაც იქ იყო, დათა ახალაიაც, ბატალიონის მეთაურები ხარაზიშვილი და შერვაშიძე. ვიდრე პროკურატურაში, პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებში დარჩენილი არიან კადრები, როლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მუხროვანის ამბოხში, მანამდე ეს საქმე არ გაიხსნება. ეს ყველაფერი ფირზეა ასახული და თუკი დაინტერესდება პროკურატურა, ამ ვიდეოებსაც მიაკვლევს.

**— ვინ არიან ეს პირები? ვინ არის პროკურატურაში ახლა, ვინც ამბოხების საქმეში მონაწილეობდა?**

– მაგალითად, ჩვენი საქმის მოსამართლე იყო კოპალიანი, რომელიც ახლაც მოსამართლეა. რობერტ გრიგალაშვილი იყო საქმის პროკურორი, რომელიც დღეს ისევ პროკურატურაში მუშაობს. ვინც ჩაგვცხრილა, იყო ბატალიონის უფროსი ხარაზიშვილი, თავისი სპეცრაზმით, დღეს ისიც ისევ თანამდებობაზეა. კონტრდაზვერვიდან პირები, რომლებიც ჩვენს საქმეში იყვნენ ჩართულები და მონაწილეობდნენ, დღეს ისევ თანამდებობებზე არიან. ეგენი თავის თავს ხომ არ დაიჭერენ? მანამ, სანამ ეს ხალხი თანამდებობებზე იქნებიან, ეს საქმე არ გაიხსნება. ეს გვარები, ვინც მე დავასახელე, არიან მოღალატეები. თავის დროზე შევარდნაძეს უღალატეს, შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას“, ახლა „ქართულ ოცნებაში“ არიან და თუ არ მოიშორეს თავიდან, ეს ის კატეგორიაა, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი და მათაც არ დააყრიან კარგ დღეს.

ვის დასჭირდა ვიდეოს გავრცელება მაინცდამაინც ახლა და დაიწყეს თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა, ერმანეთის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნება?

**სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ვარაუდობს, რომ ვიდეო ყოფილი მმართველი გუნდის იმ წარმომადგენლის მიერ შეიძლება იყოს გავრცელებული, რომელიც თანაგუნდელებმა გაწირეს:**

– გავრცელდა მოსაზრება თითქოს ვიდეორგოლი თვითონ ვანო მერაბიშვილის მიერ არის გავრცელებული და ამით ყოფილმა პრემიერმა გზავნილი გაუგზავნა ამერიკაში მყოფ ექსპრეზიდენტ სააკაშვილს, დაეხმაროს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაასაჯაროებს მაკომპრომეტირებელ ვიდეოს. ეს ვერსია ნაკლებად დამაჯერებელი მეჩვენება, ვინაიდან ვანო მერაბიშვილი საკუთარ თავს ამას არ გაუკეთებდა. ვიდეოში საუბარი ორი გვამის მიტანაზეა და შესაძლოა, გამოძიებით დადგინდეს, რომ ადგილი აქვს მკვლელობის შეკვეთას. ეს უმძიმესი ბრალდებაა. ასევე, არა მგონია, ამ ვიდეოს გავრცელებაში „ქართული ოცნების“ ხელი ერიოს, რადგან, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასეთი კადრები ჰქონდა, მათ ყოველგვარი „იუთუბის“ გარეშე შეეძლოთ, დაეწყოთ კვლევა და ეს გამოეყენებინათ პირდაპირ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ვიდეო თვითონ „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე მაღალჩინოსნისგან არის გავრცელებული? მაინც ვინ შეიძლება იყოს ის?**

– ვფიქრობ, ისეთი პირისგან არის გავრცელებული, რომელიც თანაგუნდელებმა გაწირეს. ასეთი კი დღეს ბაჩო ახალაიაა. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეორგოლში დათა ახალაიაც ჩანს და ეს ეჭვქვეშ აყენებს ბაჩო ახალაიას მიერ ვიდეოს გავრცელებას, სხვა არავინ რჩება „ნაცმოძრაობიდან“, ვისაც შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა.

**„ალიას“ ინფორმაციით, პროკურატურაში აქტიურად დაიწყეს ამ ფაქტის შესწავლა და ბადაშვილის უწყება გეგმავს ყველა იმ პირის დაკითხვას, რომელიც ვიდეორგოლშია. გარდა ამისა, „ალიას“ წყაროს ცნობით, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ მიაწოდა პროკურატურამ მასალები იუსტიციის სამინისტროს, რათა ყველა შესაბამისი ღონისძიება გატარდეს ზურაბ ადეიშვილის ადგილსამყოფლის დასადგენად. წყაროს ცნობით, ეს პროცესი ვიდეორგოლის გავრცელების შემდგომ უფრო დაჩქარდება. გარდა ამისა, პროკურატურაში გეგმავენ ერეკლე კოდუას მოწმის სახით გამოძახებასაც. დაიკითხებიან ის პირებიც, რომლებსაც ამ დრომდე მაღალი თანამდებობები უჭირავთ პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. „ალიას“ წყაროს ცნობით, თუკი ბადაშვილს ეყოფა კომპეტენცია ამ საქმის კვალიფიციურად და ოპერატიულად გამოსაძიებლად, ყველა ის პირი მიეცემა პასუხისგებაში, რომლებიც ქვეყანას 9 წლის განმავლობაში მართავდნენ.**

»» შორენა გოგოლაძე

599 27 75 27

## კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულებაში ცვლილებები შედის

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2007 წლის 16 მარტის №3 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.



კომისიის ცნობით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად დაედო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 9 ოქტომბერს ძალაში შესული ცვლილებები. ცვლილებების თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს თავად კომისია, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს. ამიტომ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2007 წლის დადგენილებაში შეივიდეს ცვლილებები და დამატებები, რათა კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცედურები განისაზღვროს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძველი რედაქციით კომისიის ხუთი წევრიდან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავდა. საკითხის ზეპირი მოსმენა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2014 წლის 27 თებერვალს გაიმართება. სხდომა საჯაროა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ილია მეორემ სიმსივნით დაავადებული ბავშვები დალოცა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საპატრიარქოში სიმსივნით დაავადებული ბავშვები მიიღო და დალოცა. შეხვედრა ბერი ანდრიას სახელობის ფონდისა და ეკის მამათა მონასტრის ბერის, ნაზარი ბასილაიას ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრას ფონდის წევრი, სხვადასხვა ორგანოს სიმსივნით დაავადებული 21 ბავშვი, მშობელი და მათი ექიმი ესწრებოდა, ასევე, ის მოზარდები, რომლებმაც სიმსივნე დაძლიეს და განიკურნენ.

პატრიარქის სტუმარმა პატარებმა აღნიშნეს, რომ მათთვის უწმინდესის ლოცვა-კურთხევა უმთავრესია, რაც ავადმყოფობის განკურნების იმედს აძლევს. შეხვედრაზე ის ფაქტებიც გაიხსენეს, როდესაც უწმინდესის ლოცვითა და რწმენით ადამიანებმა სიმსივნის სენი დაძლიეს. კერძოდ, პატრიარქის ექიმმა ცისანა შარტავამ გაიხსენა შემთხვევა, როდესაც უწმინდესი ლიმფური ჯირკვლის სარკომით დაავადებულ პატარას დაავადების ადგილზე შეეხო და დალოცა. ცისანა შარტავას თქმით, ბავშვს ოპერაცია აღარ დასჭირვებია, ის განიკურნა. „მე არაფერ შუაში ვარ, მე თვითონ სამკურნალო ვარ. ყველაფერი ღვთისგან ხდება“, – აღნიშნა ილია მეორემ.

ბავშვებმა პატრიარქს საკუთარი ლექსები წაუკითხეს, სიონის ვაჟთა გუნდმა კი ხალხური სიმღერები შეასრულა.

„პირველი, რაც მინდა გკითხოთ, იმედი ხომ არ დაგიკარგავთ?! ღმერთი ძლიერია, ბევრი იკურნება და განიკურნება. ღვთის ნებით კარგად იქნებით“, – მიმართა პატრიარქმა ბავშვებს.

„ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ 3 წლის წინათ, ბერი ანდრიას გარდაცვალების შემდეგ დაარსდა. ფონდი ბერი ანდრიას მშობლებმა სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად შექმნეს. ბერი ანდრია 17 წლის ასაკში კანის სიმსივნით დაიღუპა და მშობლებისგან ითხოვა, დახმარება გაეწიათ მასავით სიმსივნით დაავადებული პატარებისთვის. (ინტერპრესნიუსი)

## გზების დეპარტამენტი გასული წლის საქმიანობის ანგარიშს წარადგენს




საავტომობილო გზების დეპარტამენტი საზოგადოებას 2013 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს. დეპარტამენტის ცნობით, შეხვედრის ძირითადი თემები იქნება 2013 წლის საქმიანობის შეჯამება, ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის დინამიკა და ამ მიმართულებით, 2014 წლის გეგმა. ასევე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალი მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები.

დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, 2013 წელს ჩქაროსნულ გზატკეცილზე სამშენებლო აქტივობა მიმდინარეობდა 111 კმ. გზაზე, 2014 წელს კი სამშენებლო აქტივობა იქნება 140 კმ. გზაზე. (ინტერპრესნიუსი)

## „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ქვითრებში ასახულ მონაცემებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ბუნებრივი აირის გადასახადთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. კომპანიის ცნობით, ზოგიერთი აბონენტის ქვითარში ასახულია თვე-ნახევრის ან 2 თვის ხარჯი.




„გაცნობებთ, რომ საახალწლო დღეებში, 1-ელიდან 7 იანვრის ჩათვლით, კომპანია ტრადიციულად თავს იკავებს მოსახლეობის შეწუხებისგან და ბუნებრივი გაზის მრიცხველებიდან ანათვლების აღებისგან. შესაბამისად, იმ აბონენტებთან, რომლებთანაც საახალწლო დღეებში უნდა შევსულიყავით, სპეცრეჟიმში მრიცხველის მონაცემების წაკითხვა რამდენიმე დღით ადრე მოგვიწია. 8 იანვრის შემდეგ კომპანიამ ჩვეული რეჟიმით განაგრძო ანათვლების აღება. იმ აბონენტთა საყურადღებოდ, ვისთანაც კომპანიის წამკითხველმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოახერხა წინასაახალწლო დღეებში შესვლა და ანათვალი მხოლოდ იანვარში აიღო, ვაცნობებთ, რომ მათ ქვითრებში ასახულია თვე-ნახევრის ან 2 თვის ხარჯი“. (ინტერპრესნიუსი)

# ღირს, საერთოდ, შაურმის ჭამა?

## იცით, კიდევ რა აღმოაჩინა ექსპერტიზამ ნიმუშებში?

შაურმა, თურქული სიტყვაა და ნიშნავს „მოტრიალეს“. ეს ზუსტად მიგნებული სახელი მგონია, რადგანაც ვინც შაურმას მიირთმევს, იმას სულ ხათაბალა უტრიალებს. თბილისს ჯერ თავისი შაურმა არ ჰქონდა მონელებული, რომ რამდენიმე დღის წინ ბათუმში შაურმით 20 ადამიანის მოწამვლის ფაქტი დადასტურდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველოს წარმომადგენლებმა ბათუმში ჭავჭავაძის №7-ში მდებარე საშაურმიდან ნიმუშები ინფორმაციის მიღებისთანავე აიღეს და შესამოწმებლად აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს“ გადაუგზავნეს, ბიზნესოპერატორს კი საწარმოო პროცესი შეუჩერეს. ამავე დროს საშაურმე დარღვევის გამო კანონმდებლობის მიხედვით 1000 ლარით დაჯარიმდა. რა დაადგინა კვლევამ? რით იყო დაბინძურებული აჭარული შაურმა?



„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მომსახურების დეპარტამენტის უფროსს **გიგა ქურდოვანიძეს.**

– აჭარაში, ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოს მიმართა 20-მა ადამიანმა და ყველანი აცხადებდნენ, რომ შეიძინეს შაურმა ჭავჭავაძის №7-ში მოთავსებულ ერთ-ერთ საშაურმეში. შაურმის შეძენა 24 იანვარს მოხდა და მოწამვლა უკვე 25-ში დაფიქსირდა. იმავე დღეს ჩვენმა ადგილობრივმა სამსახურებმა აიღო ნიმუშები ამ საშუარმიდან, რომელიც გადაგზავნილი იქნა შესამოწმებლად და ასევე შემოწმდა თავად საშაურმეც, სადაც აღმოჩნდა დარღვევები. ახლა კი ჩვენთვის ცნობილი გახდა ლაბორატორიული კვლევის შედეგები, დადგინდა, რომ თავად შაურმაში იყო მაღალი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, კერძოდ, ნიმუშში აღმოჩნდა ნაწლავური ჩხირის ბაქტერიები, რაც მიუთითებს იმას, რომ სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ იყო დაცული. ეს თვალითაც ჩანდა და, შესაბამისად, ეს საშაურმე დაჯარიმდა და შეჩერდა საწამოო პროცესი, რაც არ განუახლდება, სანამ არ აღმოფხვრის იმ დარღვევებს, რომელიც აქვს და არ გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რაც ჩვენმა სპეციალისტებმა მისცეს.

**— ეს ჩხირები, რაც ჩამოთვალეთ, ორგანიზმისთვის რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს?**

– ამ კოლიბაქტერიებმა სიკვდილი შეიძლება, არ გამოიწვიოს, მაგრამ მოწამვლა რა დონეზე განვითარდება, ეს ყველაფერი ადამიანის ორგანიზმზეა დამოკიდებული. თავისთავად კოლიფორმების გადამეტებული არსებობა საკვებში, პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ შაურმა იყო დაბინძურებული. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოში აღებული თავად მოწამლულების ანალიზში კიდევ სხვა ბაქტერიებიც იყო გამოვლენილი. შეიძლება, ის შაურმაც მათ მიირთვეს, ის პარტია კიდევ სხვა რამით იყო დაბინძურებული. მაგრამ ჩვენ მეორე დღეს ავიღეთ ნიმუშები და, ცხადია, წინა დღის პარტია უკვე გაყიდული იყო, მაგრამ სპეციალისტების თქმით, ხსენებული საშაურმის უპირველესი პრობლემა იყო სანჰიგიენური პირობები.

**— შაურმა არის ის პროდუქტი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყიდება და ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს, რატომ არ ხდება მისი ხორცის შემოწმება? მაინცდამაინც ვინმე უნდა მოიწამლოს, რომ განგაში ატყდეს? ეგება და ვილაცა მოკვდეს კიდეც შაურმით?**



– კი, ძალიან ბევრია ეს საშაურმეები, მაგრამ ჩვენ ყოველ კვირას საშაურმეებში ვერ ვივლით, ჩვენ გვაქვს წლიური გეგმა შედგენილი და იგივე, საშაურმეები და სწრაფი კვების ობიექტები, რომლებიც მაღალ რისკის შემცველები არიან, ჩვენთვის პრიორიტეტული გახლავთ.

**— კი, მაგრამ სანამ თქვენ ამ ობიექტებს ჩამოუვლით... პერიოდულად გვესმის ხოლმე, რომ იქ ხან ძაღლის ხორცია და ხან ვირისო.**

– არა, არა... ვირის ხორცის არსებობას საშაურმეებში ნამდვილად ვერ დავადასტურებ. ამის შესახებ რომ გაჟღერდა ინფორმაცია, ჩვენ დავიწყეთ ამ ობიექტების მყისიერი შემოწმება, რამდენიმეს შევუჩერეთ წარმოების უფლება, ბევრს რეკომენდაციები მივეცით, მაგრამ არც ვირის, არც ცხენის ხორცი არ დაფიქსირებულა არსად. გარდა ამისა შევამოწმეთ მცირე მარკეტები, ხორცის წერტილები, ასევე სახინკლეები, რესტორნები, სადაც შეიძლება, რომ ეს ხორცი ფარშის სახით მოხვედრილიყო, არაფერი დადასტურდა. საშაურმეები ხმარობენ გაყინულ ღორისა და ქათმის ხორცს, დანარჩენი გამორიცხულია. როგორც კი ვირის ხორცის სასაკლაოს შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, იმ წამსვე მივაწოდეთ ეს ინფორმაცია შსს-ს, მათ ჩაატარეს მოკვლევა და გამოირკვა, რომ ეს იყო ერთ-ერთი მეწარმის საკუთრება, რომელსაც ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ზოოპარკთან და შესაბამისად, ეს ხორცი მაქეთ მიდიოდა და არა საშაურმეებში. თუმცა, ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავჩერდეთ, მშვიდად ვიყოთ და ამ მიმართულებით კიდევ გრძელდება მუშაობა. ეს საკითხი არის უმკაცრესი კონტროლის ქვეშ აყვანილი. ისე, თავად მეწარმეზეც ბევრია დამოკიდებული და მის კეთილსინდისიერებაზე, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენც ვაკონტროლებთ.

**— უკვე არაერთხელ მსმენია, რომ ბაზრებსა და ბაზრობებზე ძაღლის ხორცი იყიდება ცხვრისა და ხბოს ხორცის ნაცვლად. რა ხდება?**

– ასეთი რამე გამორიცხულია. ძაღლის ხორცისა და საქონლის ხორცის გარჩევა ძალიან ადვილია, ძაღლს სხვაგვარი ფაქტურა და იერი აქვს, ანდა ძაღლს რამდენი ხორცი უნდა ჰქონდეს, რომ ის გამოიტანო და გაყიდო ბაზარში? ძალიან ადვილად გამოარჩევთ ცხენის ხორცს იგივე ძვლის ფორმის მიხედვით, მჟავიანობაც მეტი აქვს ცხენს. რაც შეეხება ვირის ხორცს, ის მაშინვე შავდება, როგორც კი დაკლავენ და არასასაქონლო სახე აქვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამაზე კონტროლი ძალიან გამკაცრებულია, ჩვენი თანამშრომლები ყოველდღე დადიან ბაზარში და, პირველ რიგში, ამოწმებენ სწორედ ხორცისა და თევზის სექციებს. ასე რომ, მსგავსი გამორიცხეთ, არ არსებობს ასეთი რამ ბაზარში.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასჯელაღსრულების სამინისტრო პატიმრის ოჯახს პასუხობს



სასჯელაღსრულების სამინისტრო პატიმარ თენგიზ ლაგვილავას ოჯახის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება და განცხადებას ავრცელებს:

„ბოლო პერიოდში მედიას არაერთხელ მიმართა პატიმარ თენგიზ ლაგვილავას ოჯახმა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. მისი გადმოცემით პატიმარს სამედიცინო მომსახურება არ უტარდება და ის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. პატიმრის დედას მრავალჯერ შეხვდნენ სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლები და მინისტრის მოადგილე. პაციენტმა მხოლოდ 2013 წლის განმავლობაში სამედიცინო დეპარტამენტის დაფინანსებით 18-ჯერ ისარგებლა სამედიცინო რეფერალით დიაგნოსტიკური თუ სამკურნალო პროცედურებისთვის, მათ შორის კლინიკებში. ასევე, უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა სამკურნალო დანიშნულებებით და 22 დასახელების მედიკამენტით, რაც სრულად დააფინანსა სახელმწიფომ. პაციენტის თანხმობის შემთხვევაში მზად ვართ, გამოვაქვეყნოთ დიაგნოზები, სამედიცინო მომსახურების სრული ჩამონათვალი და მოთხოვნები სამედიცინო მანიპულაციებზე, რომელსაც ის ამჟამად აყენებს. ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე მისი პრეტენზიების საპასუხოდ ქალბატონს გასაგებ ენაზე მიეწოდა სრული ინფორმაცია. კერძოდ, მას შეეთავაზა, თავად აერჩია სამედიცინო მომსახურების გამწევი და ასევე განუმარტეს „ცე“ ჰეპატიტის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობები, რაზეც არც თანხმობა განუცხადებია და არც ინტერესი გამოუხატავს. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ქალბატონმა ღიად განაცხადა, რომ მისი მიზანია პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლება და სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლებს „ჟურნალისტების მოყვანით“ დაემუქრა. პატიმრის მდგომარეობა ბოლო წლის განმავლობაში დამაკმაყოფილებელია, სტაბილურია და დინამიკაში უმჯობესდება. პატიმრის თანხმობითვე გვსურს დაინტერესებულ მხარეებს ვაცნობოთ, რომ მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მისჯილი აქვს 13 წელი, საიდანაც 2013 წელს მიღებულმა ამნისტიამ 3 წელი და 3 თვე უკვე მოაკლო. რაც შეეხება პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიას, ის სრულიად დამოუკიდებელია, თავად იღებს გადაწყვეტილებას პატიმართა განთავისუფლებაზე და მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს ასევე, სხვა მხარეების მიერ“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

## 6 თებერვალს ინდოელ ბიზნესმენებს შეხვდებიან

6 თებერვალს, ინდოეთის ბიზნესდელეგაციასთან შეხვედრა იგეგმება. ვიზიტი მიზნად ისახავს ქვეყნის ფარმაცევტული ბაზრის, ამ სფეროს მარეგულირებელი წესების ბიზნესშესაძლებლობების გაცნობას, ასევე დაინტერესებულ ქართულ კომპანიებთან სათანადო კონტაქტების დამყარებას. ვიზიტი გაიმართება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ინდოეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის საბჭოს ორგანიზებით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოო სექტორის, მცენარეული და ტრადიციული ინდური მედიცინისა და სხვა სექტორების 41-მდე კომპანიის წარმომადგენლები. (ჯი-ეიჩ-ენი)

## შვეიცარიის საელჩო საქართველოში „შვეიცარიულ სახლს“ გახსნის

შვეიცარიის საელჩო საქართველოში 2016 წელს „შვეიცარიულ სახლს“ გახსნის. შვეიცარიის საელჩოს ცნობით:



„შვეიცარიის საელჩომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კრწანისში უძრავი ქონების შესაძენად. ამ შენაძენის მიზანია „შვეიცარიული სახლის“ აშენება, რომელიც დაიტევს, როგორც საელჩოს, ასევე შვეიცარიის განვითარების ოფისს, ჰუმანიტარულ ოფისს, საკონსულოს და ასევე შვეიცარიის კონფედერაციის სხვა ორგანიზაციებს. შვეიცარია იმედოვნებს, რომ მისი მოღვაწეობა რეგიონში გაგრძელდება და პარტნიორობა საქართველოსთან გაძლიერდება. ასევე, შვეიცარია იმედოვნებს, რომ ამ ორ ევროპულ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდება“, – ნათქვამია საელჩოს ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## ნაცების ოფისთან რა გინდათ, პროკურატურასთან მიდით, პროკურატურასთან!!!

მუხროვანის ამბოხში ბრალდებული პირები და არასამთავრობო ორგანიზაციები 31 იანვარს 13:00 საათზე „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისთან საპროტესტო აქციას გამართავენ. „სამოქალაქო აქტივობის კლუბის“ წარმომადგენლის, მელორ ვაჩნაძის განცხადებით, აქცია იქნება მშვიდობიანი და მიმართული ძალადობის წინააღმდეგ.

„ამ ძალადობას ჩვენს ქვეყანაში 9 წელი ჰქონდა ადგილი. ამას ყოველთვის ვაცხადებდით ახალგაზრდები, რომლებიც ციხეში ვიყავით. მთელმა საქართველომ იხილა კადრები, როგორ უკვეთს ვანო მერაბიშვილი კოდუასა და ახალაიას ადამიანების მოკვლას. ეს არის მძიმე დანაშაული, ამას სამართლებრივ შეფასებას მისცემს სახელმწიფო და ის სტრუქტურები, რომლებიც კომპეტენტურია. ჩვენ ასევე მოვითხოვთ აღნიშნული ქმედების გამოძიებას“, — აცხადებს ვაჩნაძე.

„ალია“ მელორ ვაჩნაძეს დაუკავშირდა:

**— მელორ, ელოდებით ბევრ ხალხს აქციაზე?**

– ეს იქნება საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი აქცია დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ. გამოქვეყნებულ კადრებს მოჰყვა ხალხის დიდი აღშფოთება, ამ კადრებმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი და ის ადამიანები, ვინც კიდევ თავს იკავებდნენ და წლების მანძილზე რომ ვარწმუნებდით, ესენი მკვლელები არიან-თქო, უკვე ირწმუნეს. ამ ადამიანებს თვალები აეხილათ, ისევე, როგორც მაშინ, როცა ვეუბნებოდით, რაც ხდებოდა ციხეში და არ გვიჯერებდნენ, სანამ ციხის კადრები არ გამოქვეყნდა. ამ ფაქტებზე პოლიტპატიმრები სულ ვსაუბრობდით.

**— რატომ მაინცდამაინც „ნაციონალების“ ოფისთან და არა კანცელარიასთან, ან პროკურატურასთან? დამნაშავეების დასჯა ხომ მათი მოვალეობაა?**

– იმიტომ, რომ ეს არის ბუნაგი, სადაც ბანერებია გამოკრული, რომ „ნაციონალები“ ითხოვენ ვანო მერაბიშვილის განთავისუფლებას, ხოლო მერაბიშვილის ცოლი სამართალს ითხოვს. ამასთან დაკავშირებით ვაკეთებთ აქციას, რომელიც იქნება ძალადობის წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოება ყოველთვის უნდა იყოს კონსოლიდირებული ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიც არის მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულში მხილება. ყველა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ აუცილებლად დაისჯებიან, რაც არ უნდა მაღალ თანამდებობაზე იყვნენ. თანამდებობა ვერ გახდება ხელშეუხებლობის გარანტი. ბრძოლა მარადიულია, საზოგადოება ყოველთვის უნდა გამოდიოდეს და ჰქონდეს მწვავე რეაქცია, სხვა შემთხვევაში საზოგადოება ჩრდილში გადავა და წინ წამოიწევიან ის ადამიანები, ვისაც უნდა ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმი. ასეთი რეჟიმი უკვე გავიარეთ. რა არის აქ სადავო? ახალაიასა და კოდუას მოუწოდებს მერაბიშვილი, რომ სჭირდება ორი გვამი. ამირიძე და ოთანაძე სულ აცხადებდნენ, რომ გივი თარგამაძე და გიგი უგულავა კრიალაშვილის მკვლელობის ადგილას ნახეს. რატომ იყვნენ იქ? რომელი „სპეცნაზელები“ ეგენი არიან? რომ არა სასწაული, მეორე გვამსაც მიიღებდა მერაბიშვილი იმ დღეს. თუ ამბოხი იყო, შსს რატომ ატარებდა ამ ოპერაციას, თავდაცვის მინისტრი არ ჰყავდა ქვეყანას? დავით სიხარულიძე იყო თავდაცვის მინისტრი და საერთოდ არ ჩანს. ნაირაშვილი სამხედრო ატაშეა ინგლისში და ინსტრუქტაჟს უტარებს სამხედროებს, როგორ უნდა დაიგეგმოს სპექტაკლი, რომ რამდენიმე წელი ხალხი ციხეში ამყოფონ. ყველამ პასუხი უნდა აგოს, ვინც მაშინ თანამდებობებს იკავებდნენ. მინისტრმა ორი კაცის მკვლელობის ბრძანება გასცა, ეს უნდა ისჯებოდეს უვადო პატიმრობით.



**— ანონსდებოდა, რომ წითლად აპირებდით „ნაციონალების“ შენობების შეღებვას, რატომ გადადეთ?**

– ეს იდეა ჩემი არ იყო, ირაკლი კაკაბაძეს ეკუთვნოდა. გადაიფიქრა იმის გამო, რომ წვიმა იყო. ჩვენ არავისთვის ფასადის გაფუჭებას არ ვაპირებდით, ჩვენი უფლებაა, გამოვხატოთ ჩვენი აზრი. ამიტომ ვაპირებდით წარწერების გაკეთებას. ხვალინდელი აქციაც მშვიდობიანი იქნება და ატარებს იმ აზრს, რომ დამთავრდეს საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებები.



**— „ნაცმოძრაობის“ ოფისთან ჩატარებულ ერთ-ერთ აქციაზე პროვოკაციის მცდელობა იყო. ელოდებით თქვენც პროვოკაციას და რას აკეთებთ პრევენციის მიზნით?**

– პროვოკაცია ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება მოაწყოს. ჩვენ გვაქვს აზროვნების უნარი და არ წამოვეგებით ამას. თუ წამოვეგებით, ჩვენს თავს დავაბრალებთ.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

## ხურჩაში ავტობუსის აფეთქება აღიარა

ხურჩის 2008 წლის ტერაქტში ბრალდებული, გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლებული შსს-ს აფხაზეთის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურღულია აღიარებს, რომ გა-



ლის რაიონიდან მომავალი ავტობუსი მან ააფეთქა. მან დაადასტურა, რომ ბრძანება უშუალო ხელმძღვანელის რომან შამათავასგან მიიღო და, შესაბამისად, თავს წაყენებულ ბრალში დამნაშავედ სცნობს.

„ვარ სპეცრაზმელი, მაცვია ფორმა, მხოლოდ ერთი გზა მაქვს – სახლისკენ. გაქცევას არსად ვაპირებ. ჩემს შვილებს დააბრალო, მამა ტერორისტი გყავთო, ასე არ შეიძლება“, – მიმართა პროკურორსა და მოსამართლეს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას მურღულიამ.

ცნობისთვის, მურღულიას ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას გამოძიებისთვის თავი არ აურიდებია, მისი 3 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლებას ადვოკატები აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას ითხოვდნენ, თუმცა პროკურორმა პატიმრობა მოითხოვა და მოტივად დანაშაულის სიმძიმე დაასახელა, მოსამართლემ კი ბრალდების შუამდგომლობა დააკმაყოფილა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი დევნილებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს




სახალხო დამცველი გურამიშვილის გამზირზე, №76-ში მცხოვრებ დევნილთა საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, ომბუდსმენს განცხადებით მიმართეს თბილისში, გურამიშვილის გამზ. №76-ში მცხოვრებმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ 2013 წლის 15 დეკემბერს თბილისში, ძლიერმა ქარმა მათ საცხოვრებელ შენობას სახურავი გადახადა.

„საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისი, გურამიშვილის №76-ში. გასაუბრებისას გაირკვა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებას გააჩნია კომპაქტურად განსახლების ობიექტის სტატუსი, თუმცა შენობას ჰყავს კერძო მესაკუთრე. მაცხოვრებლები დაუკავშირდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და აცნობეს, რომ უამინდობის გამო, წვიმის შედეგად აღნიშნულ შენობაში ჩადის წყალი, რაც საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს და ისინი დაუყოვნებლივ დახმარებას საჭიროებენ“, – აღნიშნულია ომბუდსმენის განცხადებაში.

სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მიმართა როგორც ლტოლვილთა სამინისტროს, ასევე ნაძალადევის გამგეობას. თუმცა, როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, ორივე უწყება აცხადებს, რომ მათ ქმედითი ზომების მიღება არ შეუძლიათ, ვინაიდან, შენობის კერძო მესაკუთრე უარს აცხადებს მითითებულ უძრავ ქონებაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმის ვიცე-მერმა თანამდებობა დატოვა



ნათია სურგულაძეს ამ ეტაპზე გია ერმაკოვი შეცვლის, რომელიც ამ დრომდე აჭარის შემოსავლების სამსახურის უფროსი იყო.

სურგულაძეს თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ამ დრომდე არ გაუკეთებია. ბათუმის მერიის პრესცენტრის განცხადებით, სურგულაძე საჯარო სამსახურიდან მუშაობას არასამთავრობო სექტორში ბათუმში ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელად გააგრძელებს. (პირველი)

## ალექსანდრე ჭიკაიძე პრეზენტაციას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე ოპერატიულ-სამორიგეო საქმიანობის სიახლეების პრეზენტაციას დაესწრო. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

შსს-ს ადმინისტრაცია ოპ-



ერატიულ-სამორიგეო საქმიანობის ახალ სტანდარტებზე გადავიდა. რეფორმის შედეგად, გაიზარდა დანაშაულის შეტყობინების ოპერატიულობის ხარისხი, დაინერგა დანაშაულის აღრიცხვიანობის სიზუსტისა და უტყუარობის კონტროლის უახლესი ტექნოლოგიები, შეიქმნა დანაშაულის კრებსის ახალი ელექტრონული სისტემა და დანაშაულის ელექტრონული რუკა, რომელიც კრიმინოგენური ვითარების როგორც ოპერატიული, ისე სტრატეგიული ანალიზის საშუალებას იძლევა.

ასევე, გადაიხედა 1993 წელს მიღებული მოქმედი სამორიგეო საქმიანობის ინსტრუქცია და მის ნაცვლად შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მორიგე პოლიციელის საქმიანობის ორგანიზაციას თანამედროვე დასავლურ პრინციპებზე აფუძნებს. აღნიშნული ცვლილებები კრიმინალთან ბრძოლისა და დანაშაულის პრევენციის ხარისხის ამაღლებას ემსახურება და ამერიკელი პარტნიორების მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა. (ინტერპრესნიუსი)

# რას აპირებს ნათელაშვილი, თუკი ივანიშვილმა მისი მოთხოვნები არ შეასრულა?

**„ლეიბორისტების“ ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია ჩაატარა და მიმდინარე მშენებლობები გააპროტესტა, მშენებლობას ივანიშვილის სამშენებლო კომპანია აწარმოებს, აქ ჩინელების ჩამოყვანასა და ჩასახლებას აპირებენ. მოვითხოვ, ამ ბინებში ჩვენი უსახლკარო მოქალაქეები შეასახლოთ.**

**იგეგმება თუ არა მართლაც ჩინელების ჩამოსახლება საქართველოში და რა კავშირშია ამ მშენებლობასთან ივანიშვილის კომპანიები?**

**„ალიას“ შალვა ნათელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, რამე მტკიცებულება გაქვთ, რომ მართლა ჩინელთა დასახლება კეთდება? ან რაში ადანაშაულებთ ივანიშვილს?**

– დასახლება რომ კეთდება, ეს ვიცით არა მარტო ჩვენ, არამედ მილიარდნახევრიანმა ჩინეთმა, მთელმა ამიერკავკასიამ და პოსტსაბჭოთა სივრცემ. ჩინელებმა იგივე მოდელი გაითამაშეს საბჭოთა საკასო აპარატების შემოღება თუ ელექტროენერგიის ტარიფის გაასმაგება. რა თქმა უნდა, ამ ყოველივეში მას თავისი ბიზნესინტერესები ჰქონდა. შესაადვილი მოსაქრთამები ვიყავით და...

**— როგორ იმოქმედებს ასეთი ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩინელების ჩამოსახლება საქართველოში?**



ტურის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მათთან მეგობრობა გვინდა და არა მათი აქ დასახლება. მე ვითხოვ ივანიშვილისგან და ბეჟუაშვილისგან, რომ გამოიყვანოს კომპანიები ამ ჩინური ბაბილონის სოფლის მშენებლობიდან. 1015 წელს კი ახალგაზრდული ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, რა მიზნითაც თითქოს შენდება ეს დასახლება, გადასცეს ის სახელმწიფო საბინაო ფონდს. ამ მშენებლობაში 150 მილიონია გადახდილი, ივანიშვილისთვის კი ამ ფულის გადახდა ჩაის დალევასავითაა. სიკეთეს ჩაიდენს და მარტო ამით მაინც შევა ისტორიაში.

**შალვა ნათელაშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით „ალია“ მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა. თეა შათირიშვილმა განგვიცხადა, რომ ამომწურავ ინფორმაციას ამის შესახებ ქონების მართვის სააგენტო მოგვაწვდიდა.**

ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა, თამარ დვალმა განგვიმარტა: ,,ეს თემა ჯერ კიდევ ზაფხულში იყო აქტუალური და რატომ ადანაშაულებს შალვა ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილს, ვერ ვხვდებით. უამრავჯერ გაკეთდა განმარტება, რომ ეს არის ოლიმპიური სოფელი და არანაირი ჩინელების ჩამოსახლება აქ არ იგეგმება. 2015 წელს ტარდება ოლიმპიადა, ამიტომ ჩინური კომპანია ახორციელებს ინვესტიციას ოლიმპიური სოფლის გაკეთებასთან დაკავშირებით. აქ მომუშავე ადამიანების 70% ქართველია. გვაქვს ამის დამადასტურებელი ყველანაირი დოკუმენტაცია. დედაქალაქს ეს სოფელი უფასოდ გადაეცემა. ეს თემა ეკონომიკის სამინისტრომაც შეისწავლა, ახალი ხელისუფლების პირობებში იქნა ხელშეკრულება შესწავლილი და ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. ჩინელები მთელ ინფრასტრუქტურას გააკეთებენ და დატოვებენ“.

კავშირის სხვა ქვეყნებში, რამაც მისცა მათ მეტი წარმატების შანსი საქართველოს პირობებში, როდესაც საქმე გვაქვს არცთუ ისე ეროვნული სულისკვეთების ხელისუფლებებთან. მოგეხსენებათ, რომ ჩინეთში აკრძალულია ერთ ბავშვზე მეტის ყოლა, იქ არის დემოგრაფიული აფეთქება და ქვეყნის ხელისუფლება ხელს უწყობს მოსახლეობას, რომ განსახლდნენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე.

**— ბატონო შალვა, ჩინური დასახლების მშენებლობაზე საუბარი იყო სააკაშვილის დროს, ივანიშვილს რა კავშირი აქვს ამასთან?**

– სააკაშვილი და ივანიშვილი წარმოადგენდნენ დღევანდელი რეჟიმის დუეტს. სააკაშვილი იყო პოლიტიკური ლიდერი, ივანიშვილი კი გახდა ეკონომიკური ლიდერი, თუმცა პოლიტიკურიც იყო, როცა „ვარდების რევოლუცია“ დააფინანსა. ივანიშვილის გარეშე არ მიიღებოდა არანაირი გადაწყვეტილება, ეს იქნებოდა ბამისად, იმ ქალაქს ივანიშვილის კონტროლს დაქვემდებარებული სამშენებლო კომპანიები აშენებს, იგივე „ჰაიდელბერგცემენტი“, რომლის მფლობელია ბეჟუაშვილი, ივანიშვილის მოწილე საპარტნიორო ფონდში, რომელიც ერთად შექმნეს და დღეს ექვს მილიარდს მოიცავს.

**— ანუ ამ შემთხვევაში მერიას პასუხისმგებლობა არ ეკისრება?**

– მერიას პასუხისმგებლობის აღება არ უყვარს, თორემ ფულების აღება კარგად უყვარს. რატომ იტყოდნენ ქალაქის აშენებაზე უარს? იგივე დღევანდელი საკრებულოს წევრები დარბიან პეკინში და გუანჯოუში, თითქოს ეკონომიკური პროექტების გადმოსატანად, სინამდვილეში კი ჩინელები ახორციელებენ მათ მოქრთამვას. როგორც წლების განმავლობაში სხვა ქვეყნები ახორციელებდნენ ქართველი პოლიტიკოსების მოქრთამვას, იგივეს აკეთებს დღეს ჩინეთიც, ნახეს, რომ

– ჩვენს ეკონომიკაზე იმოქმედებს დამანგრევლად, რადგან გაუქმდება აქ არსებული ყველა ბაზარი, ჩინელების სოფელში არის უკვე აშენებული სავაჭრო ბაზრები, კონტრაქტით კი იქ მომუშავე ჩინელები 10 წლის მანძილზე გადასახადებისგან თავისუფლდებიან. იქ, რა თქმა უნდა, ყველაფერი იაფად გაიყიდება და ქართველი ვაჭარი მათ კონკურენციას ვეღარ გაუწევს. ეს არის ხუან ლის ფირმა, რომელიც განლაგებულია ურუმჩიში, რომელიც ჩინეთის დასავლეთით მდებარეობს და პირდაპირი რეისი თბილისსა და ურუმჩის შორის უკვე დანიშნულია. რკინიგზის თბილისის ზღვაზე გადატანაც სწორედ ამ ანტიქართულ პროცესსა და ჩინური ინვესტიციების განხორციელებას ემსახურება. ეს რაც შეეხება ეკონომიკურ შედეგებს, დემოგრაფიულად კი ჩვენ 2050 წლისთვის უკვე გადაშენებული ვიქნებით. მე ჩინური კულ-

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

## პატრიარქი ხელისუფლებას სთხოვს, რომ ციხეში არც ერთი ქალი არ იყოს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სასჯელაღსრულების ქალთა №5 დაწესებულებას ესტუმრა. სასჯელაღსრულებისა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა უწმინდესის ინიციატივითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორგანიზებით შედგა. ილია მეორემ მსჯავრდადებული ქალების მიერ შექმნილი ნივთები დაათვალიერა და მსჯავრდადებულები დალოცა.

კათალიკოს-პატრიარქმა პატიმრებს მიმართა და აღნიშნა, რომ მათთვის ილოცებს. ილია მეორემ პატიმრებს თავისი სურვილიც გაანდო. უწმინდესმა სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრსა და პარლამენტს, ძალა არ დაიშურონ იმისთვის, რომ ციხეში არც ერთი ქალი არ იყოს.

სტუმრის პატივსაცემად მსჯავრდადებულებმა პოეზიის საღამო გამართეს, საღამოს დასრულების შემდეგ კი სიონის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა მსჯავრდადებული ქალბატონებისთვის რამდენიმე სიმღერა და საგალობელი შეასრულა. ღონისძიების დასასრულს პატრიარქმა მსჯავრდადებულებს საჩუქრები გადასცა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიუჯეტს 600 მილიონზე მეტი დააკლდა



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, 2013 წლის ბიუჯეტს 600 მილიონ ლარზე მეტი დააკლდა.

ონოფრიშვილმა კომენტარი გააკეთა, ხაზინის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომლითაც 2013 წლის ბიუჯეტი მხოლოდ 91,7%-ით შესრულდა, რაც 600 მილიონ ლარზე მეტ დანაკლისს შეადგენს. ონოფრიშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტის რეგლამენტით დაგეგმილია ბიუჯეტის განხილვა, რომლის დროსაც მოხდება ყველა ინფორმაციის დაზუსტება, რაც დღეს არსებობს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

„600 მილიონზე მეტი დააკლდა ბიუჯეტს და ეს ცუდია, მაგრამ ეს არის გამოწვეული იმით, რომ ეკონომიკა არა 6 პროცენტით, არამედ 3,5%-ით გაიზარდა. დღგ პირდაპირ არის დამოკიდებული ეკონომიკის აქტიურობასა და ზრდაზე. შესაბამისად, ამდენი შემოსავალი ვერ შემოვიდოდა. პარლამენტში მოხდება განხილვები, როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დამტკიცების დოკუმენტს შემოიტანს“, – განაცხადა ონოფრიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას



საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიუნხენის 50-ე უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი გერმანიაში 31 იანვარს დაიწყება და 2 თებერვლამდე გაგრძელდება.

მიუნხენის კონფერენციაზე, სადაც მსოფლიო ლიდერები საგარეო პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში ძირითად პრიორიტეტებს განსაზღვრავენ, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა სესიაზე: „გლობალური ძალაუფლება და რეგიონალური სტაბილურობა“.

პრემიერი კონფერენციის მონაწილეებს ინფორმაციას საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მიმდინარე რეფორმებზე მიაწვდის. გაიმართება დისკუსია ევროატლანტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. შედგება საუბარი რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, ასევე საქართველოს მოლოდინზე ევროატლანტიკურ პროცესებში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი რამდენიმე შეხვედრას გამართავს. ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდება: ამერიკის შეერთებული შტატების სენატორს ჯონ მაკკეინს, გაეროს გენერალურ მდივანს, პან კი მუნს, ეუთო-ს გენერალურ მდივანს, ლამბერტო ზანიერის, აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორს, ფრედერიკ კემპეს, აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ჩარ ჰაგელს, კონგრესმენ მაიკლ ტერნერს, სერბეთის პრემიერ-მინისტრ ივიცა დაჩიჩს, სლოვენიის პრემიერ-მინისტრს, ალენკა ბრატუსეკს, ბულგარეთის პრეზიდენტს, როსენ პლევნელიევს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ვალტერ შტაინმაიერს, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, მიროსლავ ლაიჩაკს, ჰენრი კისინჯერს, ულრიხ გრილოს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რატომ მოუწოდებს რკინიგზაში აღდგენილი ყრუაშვილი მოსახლეობას პარლამენტთან შეკრებისკენ?

**შაბათს, 1-ელ თებერვალს, 14 საათზე, პარლამენტის წინ აქცია იგეგმება, მოწოდებით: „გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა"! მათი ადგილი ოპოზიციაში კი არა, ციხეშია, დავდგეთ ერთად ყველა, ერთადერთი მოთხოვნით, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ჩამოშორდეს ხელისუფლებას. ვის რას ვპატიობთ? ეს არაკაცები ამბობენ, მართლები ვართ, მალე ხელისუფლებაში მოვალთ და გაგანადგურებთო. რას ველოდებით, სანამ არ შეგვისრულებენ? გთხოვთ ყველას, გაუზიარეთ ერთმანეთს. მე ამ აქციის არც ხელმძღვანელი ვარ და არც ორგანიზატორი, უბრალოდ, მოვალ შაბათს პარლამენტის წინ 14 საათზე. ვნახოთ ერთი, რა ბიჭები ვართ". — ასეთი განცხადება სოციალური ქსელების მეშვეობით საქართველოს რკინიგზის თანამშრომელმა, წარსულში „თავისუფალი საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ყრუაშვილმა გააკეთა, რომელიც საზოგადოებას ხმამაღალი განცხადებებით ახსოვს, თუმცა ის ამ დრომდე ასეთი განცხადებებისგან თავს იკავებდა.**



„ალია" **გია ყრუაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო გია, რა გამწარებული ყოფილხართ, დიდი ხანია მსგავსი განცხადებები არ გაგიკეთებიათ.**

– ეს პირველი ინტერვიუა, რომელსაც საერთოდ ვაძლევ მედიას არჩევნების მერე. „ალიას" ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა ჩემი ინტერვიუები და აქამდე ვდუმდი, რადგან მეგონა, რომ სამართლიანობა აღდგებოდა ქვეყანაში. მე არ შემიძლია თვალების დახუჭვა ყველაფერზე. რამდენად გრანდიოზული იქნება ეს აქცია, ამას ვნახავ, მაგრამ ის განწყობა, რაც საზოგადოებაშია, მინდა, რეალურად ვნახო. კომუნისტებიდან მოყოლებული ყველა აქციაში მაქვს მონაწილეობა მიღებული, ერთადერთი „გეების" აქციაზე არ ვყოფილვარ და ვერ მოვითხოვ მამაკაცების გათხოვებას, მაგრამ დამლალა სიჩუმემ. გამოდის, რომ „გეების" ქორწინებისთვის და „ნაციონალების" „გაპრავებისთვის" მიცხოვრია ამ ქვეყანაზე. ამათ რა უნდათ? აღარ ვიარსებო? გამოდის შს ყოფილი მინისტრი და 2 გვამს ითხოვს, ახლა გამოვლენ კონდოლიზები და ვიღაცები და გაამართლებენ. არ მეძინა ამ კადრების ყურების გამო, თან ისეთ განცხადებებს აკეთებენ, მალე გამოვლენ და იტყვიან, თაკო სალაყაია ქალიშვილიაო.

**— ხალხს ჰპირდებით, თუ გარეთ არ გამოხვალთ, მერე მე გეტყვით, რისი ღირსიც ხართო. რას გულისხმობთ?**

– თუ ეს ხალხი ტყუილად ქოთქოთებს და გარეთ ვერ გამოიყვან, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყუილია ყველაფერი. ბევრი აქცია ანონსდება და მიდის 1-2 კაცი, ეტყობა, ჩვენს ხალხს მეტი უნდა, ქუჩაში რომ გამოვიდეს. მე აქციების ხელმძღვანელობის გამოცდილება არ მაქვს, ან რად უნდა უნდოდეს ამ აქციას ხელმძღვანელობა? ყველა ხელმძღვანელი ვიყოთ და ყველა ვიყოთ ერთნი, ვინც იქნება, „ოცნებაში" მყოფი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე. მე, იცით, რაში მეპარება ეჭვი? ადამიანს, რომელიც გამოდის და ამბობს, ქართველი ერის წინაშე დავაშავე, ვანგრევდი ეკლესიებს, უდანაშაულო ხალხს ვიჭერდი, ვხოცავდი, მაგრამ ვინანიებ, მაპატიეთო, კიდევ ვაპატიებ, ძმაო, მაგრამ ვენაცვალე მიშას იმის გამო, რომ ცოლი არ დაუტოვა გაუბახებელი ასეთ კაცებს და დღეს გამოდიან, უცოდველი კრავებივით არიან. ყველას თავი მოაქვს, როგორც ეროვნულ ლიდერს და აქეთ გადანაშაულებენ. გამოდით, ხალხო, ქუჩებში, ახლაც ტერორია? ახლა მაინც არაა სიტყვის თავისუფლება? კაი, ადრე გეშინოდათ შვილების დაჭერის, ახლა რა ღმერთი გიწყრებათ? თუ ვიქნებით 10 000 კაცი, იქვე შევქმნათ საინიციატივო ჯგუფი, 100 მეტრში ცხოვრობს ბიძინა ივანიშვილი, ავიდეთ და ვკითხოთ, დემოკრატიაა ის, „ნაციონალები" და მიშა რომ გადავარჩინოთ? გვითხრან სიმართლე. მოდის თვითმმართველობის არჩევნები და კიდევ რომ არ მოგვატყუონ, დაგვპირდნენ, რომ გასამართლდება ყველა დამნაშავე.

**— თქვენ უკვე მუშაობთ, რატომ არ გაჩუმდით ზოგიერთივით?**

– მე თუ ვმუშაობ, არავის დასაყვედრებელი და ვინმესთვის სამადლობელო არაფერი მჭირს, 18 წლიდან რკინიგზაში ვმუშაობ და მეკუთვნის 5 შვილის მამას ეს სამსახური, მაგრამ ქვეყანას უჭირს და ჩუმად ვიყო? 7 წელი არ მიმუშავია „ნაცების" დროს და იმდენი ვალი დამიგროვდა, ახლა ვიხდი, ესაა კარგად ყოფნა? ჩემთვის ძნელია, მაგრამ ეყოფათ გონიერება და ამ ინტერვიუს გამო საყვედურს არ მეტყვიან. მე მგონია, რომ ვებრძვი „ნაციონალურ მოძრაობას" და თუ ერთნი არიან ეგ და „ოცნება", მაშინ მითხრან, გამარკვიონ და მეცოდინება.

დამპალ სისტემაში რომ მდომოდა მუშაობა, „ნაციონალებიც" კი მთავაზობდნენ სამსახურს. იმ დემოკრატიის დედაც ვატირე, მიშას გადარჩენა ჩემი ხელით საკეთებელი თუ არის. ეგეთი დემოკრატია რად მინდა? ადამიანი ფულს რომ იპარავს და ქვეყანას დააქცევს, ამას ჰქვია დემოკრატია? ეს არის „რესპუბლიკელების" დემოკრატია, სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" გადარჩენა რომ უნდათ და ჩვენი ხელით, ჩვენი დუმილის ხარჯზე რომ უნდათ „ნაციონალების" გადარჩენა. ეს გვინდა, ხალხო?




**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

## საქართველოდან ცხვრის ექსპორტი 10%-ით შემცირდა

2013 წელს საქართველოდან ცხვრის ექსპორტი 10%-ითაა შემცირებული. „საქსტატის" ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოდან 15 მლნ 547 ათას 200 დოლარის ღირებულების 191 369 ერთეული ცხვრის ექსპორტი განხორციელდა, მაშინ როდესაც 2012 წელს ქვეყნიდან 18 მლნ 156 ათას 200 დოლარის ღირებულების 172 690 სული ცხვრის ექსპორტია განხორციელებული. საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით ცხვრის ექსპორტი აზერბაიჯანში განხორციელდა, სადაც 2013 წელს 13 მლნ 622 ათასი დოლარის ღირებულების 171 719 ერთეული ცხვრის ექსპორტი მოხდა. სტატისტიკური ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ბოლო პერიოდში, ცხვრის საექსპორტო ბაზრები ეტაპობრივად მცირდებოდა. თუ გასულ წლებში ქართულ ცხვარზე დიდი მოთხოვნა იყო არაბულ ქვეყნებში, 2013 წლის მონაცემებით ეს ინტერესი საგრძნობლადაა შემცირებული. (ჯი-ეიჩ-ენი)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვის ეკუთვნის „პროფილაქტიკაში" მდგარი ჯავშანმანქანები?



დილიდან სააგენტოებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკვე ერთი წელზე მეტია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი" და შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ჯავშანტრანსპორტიორი „კობრა" მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პროფილაქტიკაშია გაჩერებული. „პირველი რადიოს" ინფორმაციით, ორი სამხედრო მანქანა შესაკეთებლად ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მიიყვანეს და შესაბამისი ხელშეკრულებაც გააფორმეს, თუმცა ამ დრომდე სამინისტროები დავალიანების დაფარვაზე უარს ამბობენ, ავტოსერვისის მფლობელი კი მანქანებს სამინისტროებს არ ატანს. ფოტოებზე ჩანს, რომ ორივე სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორი დაზიანებულია, რატომ მოხდა კერძო ავტოსერვისში სამხედრო მანქანების შესაკეთებლად გადაყვანა, როდესაც მისი ყველა დეტალი სამხედრო საიდუმლოებას წარმოადგენს და პროფილაქტიკაში ნებისმიერ ხელოსანს მისი ნებისმიერი დეტალის შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია, ამ დრომდე უცნობია.

„ალიამ" სცადა გარკვევა, რატომ დგას ჯავშანტექნიკა პროფილაქტიკაში, რა სახის დაზიანება აქვთ და რა მიზნით არის გაჩერებული ერთი წლის მანძილზე?

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ლევან ჯორბენაძემ „ალიას" განუცხადა: „ვიცით ეს ინფორმაცია. ამ მანქანებიდან ერთია „კობრა", მეორე რაღაც თურქული მოდელია, რაც ვნახე სურათებში, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ეს თავდაცვის უწყების მანქანები არ არის. გადამოწმებული გვაქვს ინფორმაცია, ყველა ჩვენი საბრძოლო ტექნიკა ადგილზე იმყოფება".

„ალია" შსს-ს ერთ-ერთ მაღალჩინოსანსაც დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, „აღნიშნული მანქანა უპატრონოდ სულაც არ არის დაგდებული, შსს-ს სპეცდანიშნულების დანაყოფს ეკუთვნის, რომელიც ამ ეტაპზე დაზიანების გამო რეაბილიტაციას გადის, ასევე სიმართლეს არ შეეფერება ის გარემოება, თითქოსდა ეს მანქანა წელიწადზე მეტია, პროფილაქტიკაში „აგდია". მანქანა შეკეთებისთანავე გაყვანილი იქნება ადგილიდან".

*ჟანა ასანიძე*

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## ნატო-ს ექსპერტებმა რეფორმები დადებითად შეაფასეს



ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ „კეთილსინდისიერების განვითარების“ პროგრამის განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები დადებითად შეაფასა.

„გაიზარდა ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენება; გააქტიურდა ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან; გაიხსნა სამოქალაქო მისაღები; დაიწყო ფუნქციონირება შერჩევის საბჭოებმა და დაინერგა სამოქალაქო პერსონალის დამოუკიდებელი ტესტირების სისტემა. დადებითად შეფასდა კორუფციის პრევენციის მიზნით ქონებრივი დეკლარაციების ონლაინ სისტემის შემოღება“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

„ჩვენი რეკომენდაციაა, რომ საქართველომ გამოიყენოს ნატო-სა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის ფორმატები და თავისი გამოცდილება და მიღებული ცოდნა სხვებსაც გაუზიაროს. ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფი და ნატო-ს შტაბ-ბინა, ასევე, ნატო-ს სხვა ექსპერტები და პარტნიორები გამოვხატავთ მზადყოფნას, დახმარება გაგიწიოთ, რათა კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოთ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების განმტკიცების კუთხით და ასევე, მეტად წარმოაჩინოთ თქვენ მიერ დანერგილი წარმატებული მაგალითები“, – ნათქვამია ჯეიმს აპატურაის წერილში. (ინტერპრესნიუსი)

## სინამდვილეში რისთვის ჩამოვიდა და რა შეიძლება სთხოვოს დიდი ხნის მეგობარ მარგველაშვილს ბრაიზამ?

გავრცელდა თუ არა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული სკანდალური ვიდეოფირი, სადაც ის ორ გვამს ითხოვს კატეგორიულად, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე, მეთიუ ბრაიზა თბილისში დაერჭო და უცნაური განცხადება გააკეთა: „იყო ეს ანტიტერორისტული ოპერაცია? ამ შემთხვევაში დასაშვებია, რომ თქვა ფრაზა – „მე მინდა გვამი“. ბრაიზა ვირეშმაკობს, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები არაერთ სპეცოპერაციას ატარებენ ტერორისტების წინააღმდეგ, მაგრამ არსად არ არის ნახსენები ტერმინი – „ჩვენ გვინდა გვამები“. როგორც გენერალი კობა კობალაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ბრაიზას განცხადება აბსურდია:

„შინაგან საქმეთა მინისტრი გამოდიოდეს და გაურკვევლად იძახდეს, ორი გვამი მჭირდება და სასწრაფოდ მომიტანეთო. მერაბიშვილს ორი გვამის მიტანაც შეუსრულეს და სამისაც, ოთანაძეც და ამირიძეც ღმერთისგან არიან გადარჩენილები, ერთს 9 ტყვია აქვს მორტყმული, მეორეს – 7 და ფაქტობრივად, ისინიც დახვრიტეს. მერაბიშვილიც გამობრძანდა და ვიღაც ორი რუსი ინსტრუქტორის შესახებ ილაპარაკა. ესეც დიდი ზღაპარია. არც სასამართლო პროცესებზე და არც გამოძიების პერიოდში ორ რუსზე არაფერი არ თქმულა. ვანო მერაბიშვილს ფანტაზიები გაუღვივდა და სისულელეებს ლაპარაკობს. წესით, თუ გამოძიება სწორად წავიდა, კვალი აუცილებლად უნდა მივიდეს სააკაშვილამდე. მით უმეტეს, არსებობს ვიდეოჩანაწერი იმაზე, როგორ აძლევს განკარგულებებს სააკაშვილი მერაბიშვილს“.

უშიშროების ყოფილი მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას თქმით: სჯობდა, ვანო პირველ ჩვენებას მისწოლოდა... ამბოხის დროს მოწინააღმდეგის „გაგვამება“ მოსულა, მაგრამ ეს ხდება კანონით დადგენილი წესით. ან უგულავას ვერსია აერჩია, ქართული კარგად არ ვიციო. რა რუსის მრჩეველი, ეს ის ვანო არაა, პასპორტები რომ შეეშალა და ლევან მაისურაძის პასპორტით მიდიოდა?“.

და მაინც... რისთვის ჩამოვიდა მეთიუ ბრაიზა, რომელიც, ზოგიერთის თქმით, დღეს აღარაფერს წარმოადგენს? კი, დღეს საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ „სტრატეგიული კვლევების ცენტრი“, რომელსაც „ნაციონალების“ თავგადაკლული დამცველი, ალექსანდრე რონდელი ხელმძღვანელობს, სწორედ ბრაიზას პატრონაჟითაა შექმნილი. ასევე, ბრაიზას „ლოცვა-კურთხევით“ დაარსდა გიორგი მარგველაშვილის უნივერსიტეტი „ჯიპა“, რომელიც თავის დროზე გახლდათ მიხეილ სააკაშვილის კადრების სამჭედლო. დღეს „ჯიპას“ ყოფილი რექტორი საქართველოს პრეზიდენტია, ხოლო, გვინდა-არ გვინდა, მეთიუ ბრაიზა – მის კარზე დაახლოებული პირი. დიახ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი მრჩეველი თბილისში იმის გამო ჩამოქანდა, რომ „ნაციონალებისა“ და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ აგორებული ახალი ტალღა შეანელოს, რაც პირდაპირ უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს... დაუკვირდით, თავად მარგველაშვილი და მასთან გაიგივებული „რესპუბლიკელები“ ძალიან ფრთხილ და მოზომილ განცხადებებს აკეთებენ. დავით ზურაბიშვილმა იმდენიც კი იკადრა, გავრცელებულ ვიდეოფირზე თქვა, მანდ ისეთი არაფერია, ზედმეტ კომენტარებს ნუ აკეთებთო.



რის გაკეთებას ცდილობდნენ სააკაშვილი და მერაბიშვილი წლების განმავლობაში გვამების „შესყიდვით“? ამაზე ვალერი ხაბურძანია ასეთ კომენტარს აკეთებს:

„სააკაშვილის რეჟიმის ძალოვანი სტრუქტურების მთავარი პრინციპი იყო – მოკალი და დააშინე. ჩვენ დროს პანკისში მაქსიმალურად ვერიდებოდით მსხვერპლს... მინდა, გავიხსენო ერთი ამბავი: სულ რამდენიმე დღის დანიშნული ვარ, ჩემთან მოდის სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური, შალვა ჯანაშვილი და მეუბნება, რომ ანტიტერორისტული დანაყოფის ერთ-ერთი თანამშრომელი მაყუჩიან პისტოლეტს მთხოვს, მივცე თუ არაო? რა ხდება-მეთქი? არ ვიცი, პანკისში ვიღაცის მოკვლას აპირებენო. გამოვიძახე ჯანაშვილი ჩემთან და დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი. მითხრა, ამერიკელების ხელმძღვანელობით სპეცოპერაციას ვატარებთ ერთ-ერთი არაბი საველე მეთაურის ხელში ჩასაგდებად და მისი დაცვა უნდა მოვკლათო. ვიკითხე, იყო თუ არა პროკურატურა საქმის კურსში? მას გაეცინა, რას ამბობთ, რა პროკურატურა, ეს სპეცოპერაციაა და ამერიკელების მოთხოვნით არავის ვუმხელთო. ასეთი ოპერაცია უკანონოა და მე ამას არ დავუშვებ ჩვენი უწყების მხრიდან-მეთქი. მოვითხოვე ოპერაციის გეგმა და დავნიშნე თათბირი მეორე დღისთვის. სულ რამდენიმე წუთის გასტუმრებული მყავდა ჯანაშვილი და თანაშემწემ მომახსენა, ამერიკის საელჩოს თანამშრომელი, იგივე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის რეზიდენტი ითხოვს თქვენთან აუდიენციასო. შემოვიდა სიბრაზისგან აჭრილი კაცი და მომახალა რუსულად: „პაჩემუ ვი სრივატ ოპერაცია, ეტო ნე უვაჟატ მაია სტრანა“! მე ვუპასუხე: „ია უვაჟაიუ სვაიუ სტრანუ ი ნე დაპუშჩუ ბეზზაკონია, ტემ ბოლეე ნეპანიატნუიუ ი ნე ნუჟნუიუ“. მან მითხრა, რომ პრეზიდენტთან მჩივლებდა. პრეზიდენტს მე თვითონ მოვახსენებ-მეთქი და მოვიწვიე მეორე დღის თათბირზე. შევარდნაძეს იმ დღესვე მოვახსენე, ჩაფიქრდა და მითხრა: რას გაუგებ მაგ ამერიკელებს, სულ ვიღაცებს დასდევენო. მე მაინც მოვითხოვე ოპერაციის კანონის ფარგლებში მოქცევა, რაზეც შევარდნაძემ მიპასუხა, – გეგმა ნახეო. მეორე დღეს გავეცანი სპეცოპერაციასთან დაკავშირებულ დეტალებს და მივხვდი, რომ ლონისძიება ძალზე უნიჭოდ, უფრო ფულის საკეთებლად მიმდინარეობდა. როგორც მითხრეს, უკვე იყო ამ საველე მეთაურის პანკისიდან მოპარვის რამდენიმე მცდელობა და ამაში 30 ათას დოლარამდე იყო დახარჯული. თათბირს რეზიდენტიც ესწრებოდა, დავითანხმე, გენერალური პროკურორი მაინც ჩაგვეყენებინა საქმის კურსში, ოპერაცია კანონის ფარგლებში უნდა ჩაგვეტარებინა. დამთანხმდნენ, დაიწყო ოპერაციის მზადება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის არაბი რუსეთში გადასულა და იქ გაანადგურეს. ეს მაგალითი შედარებისთვის დამჭირდა. მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და უნდათ ორი კაცს მოკვლა. სავარაუდოდ, კრიალაშვილსა და ოთანაძეს, დანარჩენი კი მიდის სპექტაკლის მიხედვით. სავარაუდოდ, სააკაშვილისა და მისი თანამეინახეებისთვის ცნობილი იყო, რომ წინააღმდეგობა არ იქნებოდა და ეს ორი კაცი საჩვენებლად უნდა განადგურებულიყო“.

მეთიუ ბრაიზა ერთადერთია, ვისთანაც სააკაშვილს მიესვლება. გიორგი მარგველაშვილი ერთადერთია, ვისთანაც მეთიუ ბრაიზას მიესვლება. მან კბილი მოუსინჯა დღევანდელ ხელისუფლებას, რას აპირებს კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. პრინციპში, ის უკვე დასთანხმდა, რომ საქმეს პროკურატურა გამოიძიებს, ამ ეტაპზე მეტი არაფერი შეუძლია. ჩავა ახლა ამერიკაში, შეხვდება სააკაშვილს და მიუსამძიმრებს: რა ვქნა, მიშა, ქორწილი კი გადამიხადე თურქეთში, შენგან სხვა მხრივაც ვარ დავალებული, მაგრამ ახალ მთავრობაში არაფრად მაგდებენ და პრეზიდენტს კიდევ შენ თვითონ გაუხუნე უფლებები, ისლა დაგვრჩენია, გამოძიებას დაველოდოთო.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პოლიციელის დაჭრაში ეჭვმიტანილს პირობითი სასჯელი და ჯარიმა შეეფარდა



საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, გოგა ანჩაბაძის დაჭრაში ეჭვმიტანილ კონსტანტინე გულორდავას სასამართლომ ერთწლიანი პირობითი სასჯელი და 2000-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. გულორდავას ადვოკატის განცხადებით, მათ პროკურატურასთან შეთანხმებას მიაღწიეს, რის შედეგადაც დადგა ეს განაჩენი.

გულორდავას ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ისინი სასამართლოს განაჩენით კმაყოფილები არიან.

შემთხვევა ზუგდიდში 2013 წლის 12 ნოემბერს მოხდა. კონსტანტინე გულორდავამ ანჩაბაძე დაჭრა. გავრცელებული ვერსიით, პოლიციის თანამშრომელი გულორდავას მეუღლის გაუპატიურებას ცდილობდა. (ინტერპრესნიუსი)

## სიკვდილით დასჯა გაუქმებულია და ლიკვიდაციის ბრძანებაც უკანონოა



საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის არც ერთი ნორმა არ ამბობს, რომ პირის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანება შესაძლებელი და კანონიერია.

როგორც ვახტანგ ხმალაძემ აღნიშნა, ვიდეომასალაში ჩანს, მერაბიშვილის სიტყვიერი ბრძანება. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ბრძანების გაცემის მომენტში იქვე იყვნენ თუ არა სხვა მაღალი თანამდებობის პირები, ვისაც მერაბიშვილის ბრძანების გაუქმება შეეძლო, ან ხმა უნდა ამოეღო და არ ამოიღო“.

„საქართველოს კანონმდებლობის არც ერთი ნორმა არ ამბობს, რომ შესაძლებელი და კანონიერია ბრძანება პირის ლიკვიდაციის შესახებ, კანონი ამბობს, რა შემთხვევაში შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და თუ ამ გამოყენებას მოჰყვა მსხვერპლი, რა შემთხვევაში არ ჩაეთვლება ეს დანაშაულად მას, ვინც იარაღის გამოყენებით სხვას მოუსპო სიცოცხლე“, – განმარტა ხმალაძემ.

მისივე თქმით, ლიკვიდაციის ბრძანება ყველა შემთხვევაში უკანონოა, რადგან სამართლის დანიშნულება არა შურისძიება, არამედ პროპორციული დასჯაა.

„ეს არის ლამის პირდაპირი მტკიცებულება, სამართლის ენით თუ ვიტყვით, უკანონო მოქმედებისა და საყოფაცხოვრებო ენით თუ ვიტყვით, დანაშაულისა, ამორალური მოქმედებისა. ფაქტობრივად, პირდაპირი ბრძანება არის გაცემული მკვლელობაზე, დაკვეთა არის მკვლელობისა. არანაირი სამართლებრივი გამართლება ამას არ აქვს, რადგან დანაშაულის გახსნის მიზანია დანაშაულის სრულად გახსნა. როდესაც კანონის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, ეს უნდა იყოს სასჯელი და არა შურისძიება. სასჯელი განისაზღვრება კანონით, საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, შესაბამისად, მკვლელობის ბრძანება არ არის სასჯელი, ეს არ არის კანონის აღსრულება, ეს არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება“, – აღნიშნა ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

# ექსპერტი



**უკვე მესამე დღეა, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული სკანდალით ვცხოვრობთ. როგორც ჩანს, ეს ჯერ კიდევ ჟურნალია, კინო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დაიწყება. მერაბიშვილის „გვამთმოყვარეობის“ გამოაშკარავებამ, თითქმის სასიკვდილო დარტყმა მიაყენა „ნაციონალებს“. როგორ განვითარდება მოვლენები და როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება ამის შემდეგ?**



# ვინ გადაიხადა ფული და ვინ დგას „ვანოს ვიდეოს“ უკან?

„ალიას“ პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ესაუბრება:

**— ბატონო სოსო, თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ჩამოვიდა ჩვენი ყოფილი მეფისნაცვალი, მეთიუ ბრაიზა თბილისში?**

– ეგ არის გიორგი მარგველაშვილის ძმაკაცი... მახსოვს, ერთხელ ბრაიზა მივიდა „სტრატეგიული კვლევების ცენტრში“ და იქ ისეთი მტლაშა-მტლუში ჰქონდათ, გავწითლდი, ძალიან შემრცხვა. მოდი, 2012 წლის არჩევნებამდე პერიოდი გავიხსენოთ: მარგველაშვილს, გარდა იმისა, რომ „ჯიპას“ რექტორი იყო, მეორე სამსახურად ჰქონდა „მაესტროში“ შალვა რამიშვილთან ჯდომა. დიახ, იჯდა ეს ჩვენი პრეზიდენტი და სააკაშვილს უტრიალებდა მკვდარსა თუ ცოცხალს, შენ არ გახსოვს?

**— ძალიან კარგად მახსოვს.**

– ვერ გავიგე, რანაირად მოხდა, რომ მიშას კადრების სამჭედლოდ წოდებულ „ჯიპას“ ხელი არავინ ახლო და მარგველაშვილმაც ასე კა ჩვენი მეგობარია, მაგრამ ხშირად საკუთარი ინტერესებით ვაღიზიანებთ. ივანიშვილი ბიზნესში ბრწყინვალე მენეჯერი აღმოჩნდა, მაგრამ მე



გონივრული ეჭვი მაქვს, რომ მან პრეზიდენტად ამერიკელების მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა წამოაყენა, დათანხმდა მიუღებელ კანდიდატურაზე. სწორედ ასეთივე მოტივაციით წამოაყენა თბილისის მერის თანამდებობაზე ნარმანია. ხედავ, როგორ იკვრება წრედი? მე ძალიან შორს ვარ იმ წრეებისგან, სადაც მსგავს გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ ეს აშკარად ჩანს. როდესაც ერთი ციცქნა ქვეყანაში პროცესები გამჭვირვალე არ არის, ეს ყოველთვის პროტესტს იწვევს. შემთხვევით არაფერი არ ხდება... ბრაიზას განცხადება ძალიან ტლანქია, „გვამი მინდა“, ეს მცნება არსად არ არსებობს. შეიძლება ასეთი რამე თქვას პროფესიონალმა სამხედრომ, რომელიც შუა ბრძოლაშია. ამერიკელ სამხედროებს მსგავსი ტერმინოლოგია ახასიათებთ. ევროპელი ამას არასოდეს იტყვის.

**— ვანო მერაბიშვილი რომელი ამერიკელი სამხედრო გვყავდა?**

– ეს თემა დახურული იყო აქამდე. ისიც დასადგენია, იყო აჯანყება თუ არა? აქ ყველაზე საინტერესო ის არის, ვის მიერ იყო ინსპირირებული ეს ყველაფერი? აჯანყებები არ ხდება ფულის გადახდის გარეშე. ეს არის აქსიომა, ამ შემთხვევაში საჭიროა უკმაყოფილება და დიდი ფული. რატომ არ ეხსნება მუხროვანის ამბოხების საქმეს გრიფი „საიდუმლო?“ როცა რუსეთში რევოლუცია მოხდა, ბოლშევიკებმა მეფის მიერ მიღებული ყველა დოკუმენტი გამოაქვეყნეს და ამით სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს კონტრრევოლუციას. მოვიდა ახალი ხელისუფლება, მოხდა ცვლა, მუხროვანის საქმეს რატომ არ ასაჯაროებენ? იქ იყვნენ ადეიშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, დაიკითხა ათეულობით ადამიანი, ახლა გვჭირდება დაკითხვის ოქმები, სად არის? მე მეშინია, რომ ჩვენ ამ შემთხვევაშიც დილეტანტიზმში არ ჩავიძიროთ. მიჩნდება შეკითხვა ამ ვიდეოს გამავრცელებლის მიმართ: ამ ყველაფერს რა მიზანი აქვს, მხოლოდ სენსაციაა თუ ამას საქმეც მოჰყვება?

**— პროკურატურამ განაცხადა, რომ გამოძიება უკვე დაიწყო.**

– ამ სპეცოპერაციის მონაწილეები ისევ მაღალ თანამდებობებზე მუშაობენო. ვინც თანამდებობაზეა, ის არაფერს არ იტყვის, ტყუილად თავს ნუ თავისუფლად „იგულავა“?

**— თქვენ რას ფიქრობთ, ეს გარიგება იყო?**

– კი, გარიგება იყო ამერიკელებთან... მიშას უთხრეს, მაგ კაცს ხელი არ ახლოო. ბოლო პერიოდში ამერიკელებს მიშა აღარ აინტერესებდათ. ახლა გამოდის ხმები, მარგველაშვილი და ივანიშვილი ერთად ვეღარ ძოვენო, ეს სიმართლეა. ბიძინა უკვე იმაზეა მობილიზებული, რაც დღეს სჭირდება საქართველოს, მარგველაშვილს აქცენტი აქვს აღებული იმაზე, რაც სჭირდება სხვას. პოლიტიკა მურტალი რამეა, ხშირად შენი ინტერესები შენი მეგობრის ინტერესებს არ ემთხვევა. კი, ბატონო, ამერიშეიწუხებენ. რატომ უნდოდა ვანო მერაბიშვილს ორი გვამი და არა ოთხი? ამას უნდა ძალიან მაგარი გამოძიება... მე პირადად ასეთ რაღაცებს ვუყურებ ძალიან ფრთხილად, ამ ვიდეოს გამოქვეყნება ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ლარი გარბის ისე, რომ მსოფლიო ჩემპიონი სირბილშიც ვერ დაეწევა. ამ დროს ეს მომგებიანი თემაა, თუ შედეგი არ ექნება, მაშინ ჩათვალე, რომ უბრალო სანახაობაა და მეტი არაფერი. მარტო გამოქვეყნება არაფერს ნიშნავს, ახლა ქართველ საზოგადოებას უნდა აუხსნან, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან, ფული ვინ გადაიხადა, რა ინტერესი იყო ან ერთი მხრიდან, ან მეორე მხრიდან? ალბათ, გახსოვს, მიშა სააკაშვილი როგორი გაცოფებული იყო, ხომ? მოდი, ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ საერთოდ არაფერი არ იყო და მოწმენდილ ცაზე მიშამ ორი გვამი მოითხოვა. თუ ამით „ალია“ არ დაინტერესდა, მაშინ სხვა ქეციანი გაზეთების დაინტერესებას აზრი არა აქვს. დღეს ყველა „ტრიხამონიანი გოგოშკა“ ჟურნალისტი გახდა... დღეში ოთხმოცი მირეკავს ხან, ისეთ სისულელეებს მეკითხებიან, ზრდილობის გამო ვერ ვაგინებ. სერიოზულმა ჟურნალისტებმა მოჰკიდეთ ხელი ამ საქმეს, ნახეთ, ამერიკაში რას აკეთებდნენ. ჰენრი კისინჯერი წერს თავის მემუარებში, უოლტერ ლიპმანმა სისხლი გაგვიშრო, მე და ნიქსონი გადაწყვეტილებას რომ მივიღებდით, ეგ „ნიუ-იორკ თაიმსში“ რაღაცას დაგვიწერდა და იძულებული ვხდებოდით, ყველაფერი შეგვეცვალაო. მე ამ საქმეში ისეთ დელიკატურ საკითხებს ვხედავ, რომლის გამოაშკარავება არც ამ ხელისუფლებას აწყობს და არც წინას. სააკაშვილს რომ არ აწყობს, ეს ბუნებრივია. ბრაიზა ვინც არის და ვისი კლაკერიც იყო, ეგ ვიცით. თუ ეგ ვანოს დასაცავად ჩამოვიდა, ჩათვალე, რომ დათვური სამსახური გაუწია. მაგას ნუ ჰგონია, რომ საქართველოში ყველა ტუტუცი და დეგენერატია. მაგას ურჩევნია, ქართველ ხალხს საკუთარი თავი დაავიწყოს. ეს რაც მალე მოხდება, მისთვისაც უკეთესი იქნება და დღევანდელი პრეზიდენტისთვისაც.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბურჯანაძე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის ერთადერთ გზად ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ასახელებს.

„სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ვიდეოკადრებმა კიდევ ერთხელ ძალიან ნათლად დაგვანახა იმ ადამიანებს, ვისაც რაიმეს დანახვის, გაგებისა და ელემენტარული ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის სურვილი აქვს, ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ რომ იყო დანაშაულებრივი ორგანიზაცია და ის, რომ ამ ორგანიზაციის სახით საქართველოს მართავდა არა პოლიტიკური ძალა, არამედ კრიმინალებისგან შემდგარი ტერორისტული ერთობა, რომელიც ყოველდღიურად არღვევდა კანონს და ფეხქვეშ თელავდა ელემენტარულ ფასეულობებს“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისვე თქმით, სამწუხაროდ, გუშინდელმა კადრებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა ახალი ხელისუფლების უსუსურობა და უნიათობა, რომ ყველაფრისთვის დაერქმია თავისი ნამდვილი სახელი.

„ის, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიცალა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების გამოძიებისთვის, როგორიც იყო თუნდაც ე.წ მუხროვანის ამბოხი, 26 მაისი და სხვა საკითხები, ის რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ვანო მერაბიშვილი ბედავენ, გველაპარაკონ, როგორც პოლიტიკურმა ოპონენტებმა, ეს სწორედ „ქართული ოცნების“ უსუსურობისა და მათი დანაშაულებრივი კოჰაბიტაციის დამსახურებაა...

ჩვენ კატეგორიულად ვაყენებთ საკითხს: დამნაშავეები დაისაჯონ, გამოძიება ჩატარდეს კომპეტენტურად და არა ისე უთავბოლოდ და სამარცხვინოდ, როგორც ამას აკეთებს „ქართული ოცნება“. ჩვენ ვითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ვითხოვთ ქვეყანაში რეალურად დემოკრატიული პოლიტიკური ძალებისთვის ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნას, რომ ქვეყანა განვითარდეს და ის პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები, რაც ჩვენს ხალხს აწუხებს, გადაწყდეს და ხალხს ნერვები არ ეშლებოდეს მსგავსი კადრების ყურებით, რასაც გუშინ უყურებდა საქართველოს მოსახლეობა“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ჯიეიჩ-ენი)

## სერგეენკო კლინიკებში მონიტორინგის გამკაცრებით კმაყოფილია



ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მიესალმება სადაზღვევო კომპანია „არდის“ ინიციატივას სტომატოლოგიურ კლინიკებში მონიტორინგის გამკაცრების თაობაზე, თუმცა აღნიშნავს, რომ მთავრობამ ჯერ კიდევ 4 თვის წინ დაამტკიცა შესაბამისი რეგულაციები.

„სადაზღვევო კომპანია „არდის“ ინიციატივას მივესალმები, თუმცა საზოგადოებას შევახსენებ, რომ ჯერ კიდევ 4 თვის წინ ჯანდაცვის სამინისტრომ გაიტანა და მთავრობამ დაამტკიცა ახალი რაგულაციები სტომატოლოგიური კაბინეტების მონიტორინგის შესახებ, რითაც უკვე ვართ დაკავებული ბოლო 1 თვის განმავლობაში“. – განაცხადა სერგეენკომ. (ფრონტნიუსი)



# ექსპერტი

# რა შეიცვლება ქვეყანაში მერაბიშვილის ვიდეოს გავრცელების შემდეგ?



მიუხედავად იმისა, რომ ვანო მერაბიშვილის შოკისმომგვრელმა და სკანდალურმა ვიდეომ დაანგრია ყველა საინფორმაციო საშუალების ბადე და ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ საქმე გვქონდა არა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლებასთან, არამედ კრიმინალების სექტასთან, რომლებიც სადამსჯელო ოპერაციებით ატერორებდნენ მოსახლეობას. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, გამოძიება სინქრონული არ არის და ჯერჯერობით ვერ ახერხებს დაისვას საკითხი, რომ აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე პარტია. განა რა უნდა დაიდოს ამის შემდეგ კიდევ ისეთი კომპრომატი, რაც დასავლეთს დაადუმებს და დაგვეთანხმება, რომ საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან და კრიმინალურ რეჟიმთან. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთს აქვს სურვილი, ქვეყანაში იყოს ორპარტიულობა, მან კარგად უნდა გაითვალისწინოს, რომ ოპოზიციურ ძალად ვერ გამოდგება „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც იქნება „ოცნების“ დამბალანსებელი. თუ დასავლეთის მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ლობირება გაგრძელდება, ეს ქვეყანაში გამოიწვევს დასავლური ღირებულებების მიმართ აგრესიას და შესაძლოა, გაღიზიანებულმა ხალხმა არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ გააკეთოს. ეს რომ არ მოხდეს, პროკურატურას მართებს, დაიწყოს კვალიფიციური მუშაობა თითოეულ საქმეზე და დაიდოს ისეთი დოკუმენტები, რის საფუძველზეც „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, აიკრძალება. „ნაცსექტაში“ უმეტესობა წარმოადგენს კრიმინალს და მათ მინიმუმ 10 წლით უნდა ჩამოერთვათ პოლიტიკური საქმიანობის უფლება, სხვა შემთხვევაში გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც, როგორც აღვნიშნე, საზოგადოებას დაუმტკიცებენ, რომ დასავლეთის ღირებულებებია დაეყრდნოს კრიმინალს, მწამებელს, ტერორისტს, კორუმპირებულს, რომელსაც 9 წელი ხელს აფარებდა და დღესაც მის გათეთრებას ცდილობს.

„ალიას“ ესაუბრება **ვალერი გელბახიანი:**

**— ვიდრე მერაბიშვილის სკანდალური კადრები გამოქვეყნდებოდა, სადაც ის სპეცრაზმელებზე ბრძანებას გასცემს, რომ ორი გვამი უნდა, მანამდე „ფეისბუკის“ საშუალებით მიმართავდა „უდარის“ ლიდერს კლიჩკოს, ამხნევებდა და ეუბნებოდა, ჩვენი გამოცდილება გამოგადგებათ და გვერდზე გიდგავართო. „ნაციონალებს“ უკრაინის ოპოზიციის იმედი აქვთ, რომ ისინი ხელისუფლებაში მოვლენ და დაეხმარებიან?**

– რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ უკრაინის მოვლენებით დაინტერესებულია, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებენ ამ თემას, ისინი ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, საქართველოშიც იგივე მოვლენები განვითარდეს და ანალოგიურად მოსთხოვენ უკრაინის ხელისუფლებაში მოსულ ოპოზიციას, მხარი დაუჭირონ მათ. მე არ ვიცი, საქართველოს ხელისუფლება რა პოზიციას დაიკავებს, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოკიდებულებიდან იკითხება, რომ რუსეთთან ყველანაირი დიალოგის ფორმატი შეწყვეტილია, ისიც ითქვა, რომ რუსეთს არანაირი ბერკეტი აღარ გააჩნია საქართველოს წინააღმდეგ რაიმე ტიპის პროვოცირებისა.

**— თუმცა განსხვავებული პოზიცია აქვს პრემიერ-მინისტრს, ის რუსეთის მხრიდან პროვოკაციას არ გამორიცხავს, იქვე საუბრობს რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ პრობლემებზე და იმედოვნებს, რომ ეს პრობლემები დარეგულირდება.**

– საგარეო საქმეთა სამინისტროსგან განსხვავებით, პრემიერი არის დელიკატური, თავისი დიპლომატიური მანევრით ცდილობს, რომ მშვიდობიან რაკურსში წარმოადგინოს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემები. ტაქტიკურად მისი სვლა სწორია, რადგან საქართველოს აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე ტერიტორიული პრობლემები, მეექვსე წელია აღიარების პოლიტიკას აქვს ადგილი რუსეთის მხრიდან, საქართველო ცდილობს, გავლენა მოახდინოს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებზე, რომ შეინარჩუნოს კონსტიტუციურ ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობა და არც ერთ სახელმწიფოს არ აღიარებინოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა. თუ ჩვენი მხრიდან აგრესიული რიტორიკა გააქტიურდება, რუსეთი გააგრძელებს აგრესიის პოლიტიკას. რუსეთი მარტო არ არის, თუ საუბარია ევრაზიულ სივრცეზე, ყაზახეთი, ბელორუსი, სომხეთი, მას შეუერთდება, როგორც ჩანს, აზერბაიჯანი, შესაძლებელია დიპლომატიური პოლიტიკის გააქტიურება, რომ ის ქვეყნები გახდნენ შუამავლები, რომ თუ საქართველოს საკითხი განიხილება ახალ ეკონომიკურ ფორმატში, მაშინ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი უნდა იყოს გადახედილი, არ არის გამორიცხული, დიდი უკმაყოფილება გამოიწვიოს იმ ხელშეკრულებამ, რომელსაც ევროკავშირთან თანამშრომლობაზე ხელი უნდა მოვაწეროთ აგვისტომდე. კეთილი ინებონ და გაასაჯაროონ. მოსახლეობას უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება. ევროკავშირის ის ხელშეკრულებში არ ვიცით, რა წერია. საუბარია, რომ საქართველოში ძალიან ბევრი საწარმო ვერ გაუძლებს ევროპულ პარამეტრებს, ისინი ავტომატურ რეჟიმში დაიხურებიან, ამით ისარგებლებენ ევროპელები და დაზარალდებიან ქართველები, იქნებ ამას სხვა ალტერნატივა სჯობია. როცა ასეთი ეპოქალური მნიშვნელობის საკითხი წყდება ხელისუფლების მეშვეობით, ხალხს აზრი უნდა ჰკითხონ.

**— ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელმოწერამდე სულ რამდენიმე თვე რჩება, „ნაცმოძრაობა“ ცდილობს ვანო მერაბიშვილისგან შექმნას ტიმოშენკო და მას პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიანიჭოს ევროპამ. ასეთი სკანდალური კადრების შემდეგ შეძლებს „ნაცმოძრაობა“ მერაბიშვილის ტიმოშენკოს რანგში გაყვანას და ევროპა გვაიძულებს, ტიმოშენკოს მსგავსად, ციხიდან განთავისუფლდეს ივანე მერაბიშვილი?..**

– ამ კადრებმა ბევრი რამ შეცვალა, თუმცა ეს საკითხი უნდა გამოიძიონ და დაიდოს საბოლოო განაჩენი. მაგრამ ამის მიუხედავად, რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ შეეცდება ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ პატიმრად წარმოჩენას და ეს მოთხოვნა დადგება დღის წესრიგში. „ნაციონალები“ დიდ ფულს უხდიან ლობისტებს და ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ და მერაბიშვილი გაათეთრონ. არ გამოვრიცხავ, მათ მოითხოვონ მერაბიშვილის განთავისუფლება, მოითხოვონ, იყოს თავდებში და არა საპატიმროში, თუმცა, ჩვენ ვნახეთ ისეთი კადრები, რამაც შესაძლოა, ბევრი რამ შეცვალოს ამ საქმის გამოძიების შემდეგ. „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური პარტია უნდა აიკრძალოს, ეს კი დამოკიდებულია პროკურატურის კომპეტენტურობაზე და მან უნდა შექმნას ისეთი მტკიცებულებები, რაც საერთაშორისო პარამეტრებში ჩაჯდება და კანონის ძალით აიკრძალება ეს პოლიტიკური მოძრაობა. სხვა შემთხვევაში იქნება მუდმივი ქაოსი, ჩვენ ყოველდღე ვხედავთ, რომ საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან და ზოგადად, დამნაშავე რეჟიმთან.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლარის სიმბოლოზე კონკურსი მიმდინარეობს



ლარის სიმბოლოს კონკურსში განაცხადების მიღება დასრულდა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ბანკში შესულია 150-ზე მეტი ნიმუში. ლარის სიმბოლოს შესარჩევი დროებითი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ეროვნული ბანკის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები, მიღებულ განაცხადებს განიხილავს და შეფასების შემდეგ გამარჯვებულ კონკურსანტს გამოავლენს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსი 2013 წლის 27 დეკემბერს გამოაცხადა, რომელიც 27 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, ქართული ფულის – ლარის სიმბოლოს შემოღება ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასევე, სიმბოლოს პოპულარობა გაზრდის ცნობადობას საზოგადოებაში და შესაბამისად, დადებითად აისახება ქართული ფულის იმიჯზე. (ინტერპრესნიუსი)

## დასავლელმა პარტნიორებმა მერაბიშვილის დაცვისგან თავი შეიკავონო



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის სურვილია, დასავლელმა პარტნიორებმა გამოძიების დამთავრებამდე თავი შეიკავონ ვანო მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დაცვისგან. ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დიდი ხანია უნდა დამდგარიყო, „ქართულ ოცნებას“ რომ შეესრულებინა წინასაარჩევნო დანაპირები, რომლითაც ის მოვიდა ხელისუფლებაში ჯერ კიდევ პირველ ოქტომბერს და შემდეგ კი ნაწილობრივ შანტაჟის გზით, გაიმყარა ხელისუფლებაში ყოფნა უკვე საპრეზიდენტო არჩევნებზე.

მისი თქმით, ახალ ხელისუფლებას აუცილებლად უნდა დაეყენებინა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, რადგან არც ერთი მსგავსი საკითხის გადაწყვეტა მიხეილ სააკაშვილის გარეშე არ ხდებოდა.

„ვისურვებდი, რომ ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა თავი შეიკავონ გამოძიების დამთავრებამდე მაინც ვანო მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დაცვისგან, რადგან ეს მხოლოდ აზარალებს დასავლეთის იმიჯს საქართველოს მოსახლეობის თვალში“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

## პროკურატურამ შვეიცარიიდან სკანდალური დოკუმენტი მიიღო

### ვის რა თანხები აღმოაჩნდა იქაურ ანგარიშებზე?

სამართლიანობის აღდგენას პროკურატურაში რომ ხელს ის ადამიანები უშლიან, ვინც არა მხოლოდ სისტემაში რჩებიან, არამედ მაღალ თანამდებობაზეც დაინიშნენ, ეს სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაკავება-პასუხისგებაში მიცემაც რომ არ ეღირსა ქართველ საზოგადოებას, ეს ფაქტია. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ორი წლის შემდეგ პროკურატურაში თბილად მოკალათებული ადეიშვილის კადრები იმით დაკავდნენ, რომ, ერთი მხრივ, ძველი ხელისუფლების ,,გაპრავებაში" აიღონ ხელფასი, მეორე მხრივ კი, ყველა ფაქტი, რომელიც გამომჟღავნდება, რაც გამოძიებისთვის მნიშვნელოვან სამხილს წარმოადგენს, იმალება. ამის დამადასტურებელ ფაქტებს ბოლო არ უჩანს, თუმცა ამჯერად ,,ალიას" წყარო ჰყვება ამბავს, რომელსაც კიდევ ერთხელ შეუძლია ზემოთქმულის გამყარება.

აი, რას გვიყვება წყარო, რომელიც ვინაობას მხოლოდ იმიტომ მალავს, რომ ის სისტემაში მუშაობს ამ მომენტისთვის.

,,დავიწყოთ იმით, რომ პროკურატურაში არაფერი შეცვლილა, რაც ბადაშვილი მოვიდა. თანამშრომლები ამბობენ, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც ფინანსურ პოლიციაში თავად იყო ერთ-ერთი შემსრულებელი დავალებების და ახლა აქეთ ჰყავს შემსრულებლები, რომლებიც იმ საქმეებს ,,გააპრავებენ", თავად რომ აქვს გაკეთებულიო. თქვენ ხომ იცით, რომ 9250 განცხადებაა ოფიციალურად დარეგისტრირებული ბიზნესმენების დაწიოკებასა და ქონების წართმევასთან დაკავშირებით? ნახევარზე მეტი საჩივარი სწორედ ბადაშვილის წინააღმდეგაა შემოსული. დაბარება, ზეწოლა, წართმევა მისი საქმიანობის სტილი იყო. ცოტა სხვა კუთხით შევხედავ ამ საკითხს, ბადაშვილი ხომ არ მუშაობს მარტო აქ, მის ადგილას ნებისმიერი მაღალი დონის იურისტი რომ მოგვეყვანა, მაინც არაფერი შეიცვლება. ფინანსური პოლიცია და ადეიშვილის კადრები ისე ამაგრებენ პოზიციებს, შერლოკ ჰოლმსიც რომ მოვიდეს, მაინც ვერ გამოიძიებს ამ საქმეებს. სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, არც ერთი გახმაურებული საქმე არ იქნება გამოძიებული.

**— ბოლოს და ბოლოს, ამ ხალხის ლუსტრაცია არ უნდა მოხდეს?**

– ლუსტრაციაც არ სჭირდება ამ ხალხს, საქმეებზე ხელს აწერენ, ნახეთ ეს საქმეები და იმის მიხედვით მიხვდებით, ვინ ვინაა, ვის რა პოზიცია ჰქონდა, ვინ რას „აშავებდა" და რას „ათეთრებდა". უნდა მოხდეს მათი გაცხრილვა.

**— თქვენ მითხარით, რომ რამდენიმე თვეა, პროკურატურაში უცხოეთიდან რაღაც დოკუმენტები გადმოიგზავნა, მაგრამ არ ახმაურებენ. რა სახის დოკუმენტებია ეს?**

– ახლა გადავალ მთავარზე, ეს დოკუმენტები, რომლის შინაარსსაც ახლა გეტყვით, ჩემი აზრით, მხოლოდ საქართველოში შეიძლება შეიცავდეს საფრთხეს, თორემ დემოკრატიულ ქვეყნებში ეს ნორმალური და ლუსტრირებული ამბავია. რამდენიმე თვის წინ, ძირითადად შვეიცარიიდან, სხვა ქვეყნებიდანაც გადმოიგზავნა ანგარიშები და ქონების ჩამონათვალი, რა ქონებასაც ფლობდნენ საზღვარგარეთ ძველი ხელისუფლების ჩინოვნიკები.

**— ეს პროკურატურამ გამოითხოვა?**

– მე როგორც ვიცი, არა. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასე ხდება, როცა ხელისუფლება იცვლება, სხვა ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, ახალი ხელისუფლება ჩააყენონ საქმის კურსში, მით უმეტეს, როცა მათ გაიგეს, რომ ზოგიერთ პირზე საქართველოში მიმდინარეობს გამოძიება.

**— კონკრეტული სახელები და გვარები წერია სიაში, ვინ არიან?**

– მე როგორც ვიცი, ზოგიერთი ადამიანი, ვინც იქ ქონებას ფლობს, ძველი ხელისუფლების წევრი არა, მაგრამ მათთან დაახლოებული პირია, ასევე არიან მათი ოჯახის წევრები. ზოგს ცოტა ფული აქვს, ზოგს – მეტი, მთავარი აქ სხვა რამეა, ეს დოკუმენტები აქვს ექსტრადიციასა და საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს, ირაკლი ჩილინგარაშვილს. მოკლედ, ამ დოკუმენტების დამბლოკველი ირაკლი ჩილინგარაშვილია".





**„ალია" კომენტარისთვის პროკურატურის პრესსამსახურის უფროსს თემურ დოლიძეს დაუკავშირდა:**

„საიდან იცის ეს ფაქტი მაგ პიროვნებამ? მე არ ვიცი და მაგან რა იცის? როგორ ვისაუბრო ამ თემაზე სერიოზულად? აბსურდია ეს ამბავი, არ არსებობს ერთი ასეთი საბუთი, ერთი დოკუმენტი. მე ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი ვარ, აქ ვმუშაობ და ერთი ინფორმაცია არ მოღწეულა ამის შესახებ ჩემამდე, მით უმეტეს, დეპარტამენტების უფროსებთან და მათ მოადგილეებთან მაქვს ურთიერთობა.

მე არ მსმენია ეს ამბავი და ეს ადამიანი, რომელიც თქვენი წყაროა, საიდან ფლობს ამდენ ინფორმაციას? მე თქვენი მესმის, მაგრამ შიგნით მე ვარ და თქვენ როგორ გაიგეთ ისე, რომ მე არ ვიცი? ახლო ხედით ვუყურებ სიტუაციას და თქვენი წყარო საიდან ფლობს ამ საოცარ ინფორმაციებს?".

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## დეკემბერში მშპ-ს ზრდის ტემპი 8,4 პროცენტი იყო



2013 წლის დეკემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წინასწარი შეფასებით 8,4%, ხოლო 2013 წლის IV კვარტალში 6,9% შეადგინა. „საქსტატის" მონაცემებით, 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა რეალურმა ზრდამ წინასწარი შეფასებით 3,1 პროცენტი შეადგინა.

2012 წლის იანვრიდან „საქსტატი" ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის საფუძველზე.

„აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან", – განმარტავენ „საქსტატში". (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საკონსტიტუციო სასამართლო ნანუაშვილის სარჩელს განხილავს



საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვა „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" დაიწყო. აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 110-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

„სადავო ნორმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის იქმნება 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, მათ შორის თბილისში 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი; ასევე, „საპარლამენტო არჩევნებისთვის თითოეული მუნიციპალიტეტი, თბილისის გარდა, არის ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი". მოსარჩელე მხარის მოსაზრებით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" სადავო ნორმების გათვალისწინებით მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმები არ არის თანაბარი ძალის მქონე. კერძოდ, საარჩევნო ოლქებში არ არის რეგისტრირებული თანაბარი რაოდენობის ამომრჩეველი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩევლებს არ აქვთ შესაძლებლობა, რომ თანაბარი გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე.

მოსარჩელეთა მითითებით, სადავო ნორმების საფუძველზე, მაგალითად, საბურთალოს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული 128 545 ამომრჩეველი ირჩევს ერთ მაჟორიტარ დეპუტატს, იმ დროს, როდესაც ყაზბეგის საარჩევნო ოლქში, ერთ მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევს მხოლოდ 5 810 ამომრჩეველი. ამდენად, ყაზბეგის ამომრჩევლის ხმა 22-ჯერ უფრო წონადია, ვიდრე საბურთალოს საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის ხმა, რაც აშკარად მეტყველებს ამ სისტემის დისკრიმინაციულობაზე.

მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ ამომრჩეველთათვის არათანაბარი შესაძლებლობების მინიჭება, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, საარჩევნო უფლებას და, აქედან გამომდინარე, ნორმა არაკონსტიტუციურია", – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## 1-2 თებერვალს საქართველოს ზოგიერთ რაიონში ძლიერი ქარია მოსალოდნელი



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთში და გორი-სურამის მონაკვეთზე აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი იქროლებს. 2 თებერვლიდან, აღნიშნულ რეგიონებში, ქარის სიჩქარემ, დროგამოშვებით, შეიძლება 30მ/წმ-ს გადააჭარბოს.

საქართველოს ტერიტორიაზე უკვე დაიწყო ხმელთაშუა ზღვიდან შავი ზღვის გავლით გადმონაცვლებული შედარებით თბილი და ნოტიო, ხოლო კასპიის ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასების ურთიერთქმედება, რამაც ნალექები, მთასა და მაღალ მთაში თოვა გამოიწვია. (ინტერპრესნიუსი)



# ექსპერტი

# რატომ იტირა მერაბიშვილმა პროცესზე და რას უქადის „ორი გვამის“ ვიდეო

ივანე მერაბიშვილმა ყველაზე უკეთ იცის, რამდენი გვამი აქვს შეკვეთილი არა მხოლოდ მუხროვანის სპეცოპერაციისას, არამედ მთლიანად მისი კრიმინალური მოღვაწეობის პერიოდში. ვანო მერაბიშვილის გვამებს ვპოულობდით მაღაზიის სახურავზე, ოქროყანის ტყეში, მტკვარში, ზოგჯერ ისინი უკვალოდ ქრებოდნენ. პრემიერმა კიდეც დააანონსა, რომ საზოგადოება ბევრ ინფორმაციას მიიღებდა დაკარგულ ადამიანებთან დაკავშირებით. ქუთაისის სასამართლოში ივანიშვილმა ცრემლები აღვარღვარა და არა იმიტომ, რომ ის მართლა წუხდა საკუთარი ოჯახისა და მეგობრების გამო, რომლებიც თურმე იდევნებიან და ზეწოლის ქვეშ არიან. ეს ვანოს დროს ხდებოდა და ზეწოლა ყველაზე უფრო მან იცის, რა არის, ისევე როგორც გვამების „დაზაკაზება“. ვანო ტიროდა იმიტომ, რომ ზუსტად დაინახა, თავისი ბნელი მომავალი, მას ორი გზა აქვს, – ან სიმართლე ილაპარაკოს და სააკაშვილი „ჩაუშვას“, ან მთელი ცხოვრება მზის სინათლე ვერ ნახოს. მხოლოდ ლაჩარსა და არაკაცს შეუძლია გააკეთოს ის, რასაც აკეთებდა ვანო მერაბიშვილი, მხოლოდ ლაჩრები და არაკაცები ტირიან არა იმის გამო, რომ ბოროტება და სისასტიკე ჩაიდინეს, არამედ ეშინიათ და არ იციან, წინ რა ელით. ვანო მერაბიშვილი არის არაკაცი, რომელიც სააკაშვილის „ხურუშიან“ სურვილებს მონური თავგანწირვით ასრულებდა, ის არის მატყუარა, რომლის სიტყვასაც გაფრენილი ჩიტის ფასი აქვს.

და დღეს, როცა ლაპარაკია „ოცნების“ კოალიციის ზოგიერთი წევრის მხრიდან, რომ სააკაშვილი არ უნდა გასამართლდეს, რასაც ამბობს ლევან ბერძენიშვილი: „ახლა დემოკრატიის მე-2 კლასში ვართ, სააკაშვილის არდაჭერა გადაგვახტუნებს მე-4 კლასში, ხოლო დაჭერით, ისევ ნულოვან ჯგუფში აღმოვჩნდებით“. ამ პოლიტიკოსებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ადამიანების ბინძური იდეოლოგიით ზომბირებით მიიღებენ იმაზე უარესს, ვიდრე ეს მიშას შემთხვევაში მოხდა და მას გაუყენებენ სააკაშვილის გზას. ამაზეა ნათქვამი, – ფიცი მწამს, სკანდალური კადრები მაკვირვებს!.. როგორ არ უნდა გასამართლდეს დამნაშავე რეჟიმი, რომელიც უკვეთდა გვამებს, ატერორებდა ადამიანებს, სასტიკად აწამებდა პატიმრებს. ბოლოს და ბოლოს, ყოველდღე ახალ ფარულ ვიდეოფაილებს გვიანონსებენ. თუ ლევან ბერძენიშვილი კვლავ გააგრძელებს ამ რიტორიკას, რომ ბოკერია გენიოსია, სააკაშვილი არ უნდა დაიჭირონ, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში, სადაც არ არის სამართალი, დაიწყება ომი. ვიდრე ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა და ექსპრეზიდენტობა არ იქნება ინდულგენცია, ხალხი სამართლიანობას თავისი შესაძლებლობებით აღადგენს და თქვენ უფრო მეტი დამნაშავეები გამოხვალთ, როგორც უსამართლობის ხელშემწყობნი. ძალიან ბევრს საუბრობენ, როგორ აღმოჩნდა ინტერნეტსივრცეში ორი გვამის ბრძანების გამცემის კადრები. გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ კადრებმა ახალაიების მეშვეობით გაჟონა.

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს საარჩევნო პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი:**

**— როგორ ფიქრობთ, საიდან გაჟონა ამ ვიდეომ ინტერნეტსივრცეში, ვინ არის დაინტერესებული მხარე?**

– ვერ გეტყვით, ეს არის გამოძიების საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ ავთენტურობა დადგინდება, უნდა დაიკითხონ ის პირები, ვინც ჩანს ვიდეოკადრებში. ასევე, ის ადამიანები, ვინც იყვნენ და კამერამ არ დააფიქსირა. უნდა შეიკრას ჯაჭვი ბრძანების გაცემასა და შედეგს შორის, რაც უნდა იყოს დადასტურებული მტკიცებულებებით. ყველამ მოვისმინეთ მერაბიშვილის განცხადება. თუ საუბარია ორ რუს ინსტრუქტორზე, საუბარი არ იქნებოდა ზეპირსიტყვიერად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ჰქონდა შსს-ს, უნდა ყოფილიყო დოკუმენტირებული. აქედან გამომდინარე, უნდა იყოს ამოღებული მასალები, ვინ იყვნენ ეს რუსი ინსტრუქტორები, რომც ყოფილიყო ასეთი ორი რუსი ინსტრუქტორი, გასარკვევია, რატომ გაიცა მათი ლიკვიდაციის ბრძანება, რადგან ნებისმიერ სპეცსამსახურს სხვა სპეცსამსახურის თანამშრომელი სჭირდება, პირველ რიგში, ცოცხლად, ლიკვიდაციის გაცემა ასე პირდაპირ საერთოდ, შეუძლებელია. მოვისმინე, რომ ორი კაცი უკვე იყო ლიკვიდირებული და ამ გვამების მოტანაზე იყო ლაპარაკი. და თუ ისინი ლიკვიდირებულები იყვნენ, ცალკე მკვლელობის საქმე ხომ უნდა გამოძიებინათ შემდგომში. ასე რომ, გამოძიება ყველა დოკუმენტს ამოიღებს და დაადგენს, რა მოხდა რეალურად.

**— მერაბიშვილს წინასწარი პატიმრობის ვადა ეწურება, საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ „ნაცმოძრაობას“ უკვე ეხსნება ხელ-ფეხი, რომ ევროსაბჭომ მერაბიშვილი პოლიტპატიმრად აღიაროს, რა მიმართულებითაც ასე გაშმაგებით იბრძვის „ნაცმოძრაობა“, ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ამიტომაც გამოაგდეს ეს შოკისმომგვრელი ვიდეოო, — ამბობენ „ნაციონალები“.**

– მეც მოვისმინე ეს კომენტარი, ვიდეომასალა იმიტომ გაავრცელეს, რომ ავტომატურად ბრალი დაუმძიმდეს მერაბიშვილს და დატოვონ ციხეშიო. ავტომატურად ბრალის დამძიმება არ ხდება, რადგან თუნდაც ეს ვიდეოფაილი გამოძიებას ჯერჯერობით არ აძლევს საშუალებას, რომ ამის საფუძველზე მერაბიშვილს ბრალი წაუყენოს. ჯერ გამოძიება უნდა დაიწყოს ამ საკითხზე და თუ მტკიცებულებების ერთობლიობა მისცემს საშუალებას გამოძიებას ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ვანო მერაბიშვილი, ამას დრო გვიჩვენებს. თქვენ მკითხეთ, დადგება თუ არა დღის წესრიგში, ვანო მერაბიშვილს მიენიჭოს პოლიტიკური დევნილის სტატუსი. ვერ მიიღებს პოლიტიკური დევნილის სტატუსს „ნაცმოძრაობის“ განცხადებების საფუძველზე. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობის“ მხრიდან არის მცდელობა, რომ სამართლებრივი პროცესი გადაიტანოს წმინდა პოლიტიკურ ჭრილში, ამავდროულად, ამ ხელისუფლებამ არ უნდა მისცეს საშუალება სამართლებრივი საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანისა, ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა ნებისმიერი ბრალი სკრუპულოზურად იქნეს დადასტურებული მტკიცებულებებით. პოლიტიკური პატიმრის ცნება გაწერილია ევროსაპარლამენტო ასამბლეის მიერ, სადაც წერია, რა შემთხვევაში შეიძლება იქნას ცნობილი ადამიანი პოლიტპატიმრად. ჯერჯერობით, ვანო მერაბიშვილის საკითხი არ ჯდება ამ პარამეტრებში.

**— ჩვენ ძალიან ბევრი სამხილი ვნახეთ, რაც ადასტურებს, რომ „ნაციონალური“ რეჟიმი სჩადიოდა სისტემურ დანაშაულს. ეს ყველაფერი იძლევა თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ სამართლებრივად აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე პარტია.**

– დიახ, ჩვენ ძალიან ბევრი ფაქტი ვნახეთ. მაგალითად, როცა ვსაუბრობთ, რომ „ნაცრეჟიმის“ დროს ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალმომრეობას ციხეებში, წამებას, ცემას, სამწუხაროდ, ჩვენ აქაც ვიხილეთ მხოლოდ შემსრულებლების პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად ვართ დარწმუნებული ციხის უფროსის დონეზე. გამოძიება ჯერჯერობით უმაღლეს თანამდებობის პირებზე არ გასულა, რომლებიც პირდაპირ შეკვეთას იძლეოდნენ. ეს პოლიტიკური ელიტა გამოძიების მხრიდან ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ჩემი აზრით, პროკურატურის არაკვალიფიციურობის გამო ვერ მოხერხდა დანაშაულებრივი სისტემის ჯაჭვის შეკვრა და ორგანიზებული ჯგუფის გამოვლენა, რისი დაკვეთის საფუძველზეც ხდებოდა ეს ყველაფერი. დღეს, როდესაც მეკითხებით, უნდა აიკრძალოს თუ არა „ნაცმოძრაობა“, ეს არის სამართლებრივი პროცესი, 80%-იანი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზეც ვერ აკრძალავ, თუ ამას არ დაუდე წმინდა სამართლებრივი საფუძველი, ამისთვის საჭიროა დადგინდეს სისტემური დანაშაული, რაც ყველას უჩვენებს, რომ ეს იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება და მათი მართვის სტილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხედავ, რომ ჯერჯერობით ამას პროკურატურა ვერ ახერხებს და შემოიფარგლებიან ეპიზოდური ბრალდებებით, ისიც რამდენიმე ადამიანის მიმართ.



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უგულავასა და კეზერაშვილის პროცესი 21 თებერვალს განახლდება



რიყის ტერიტორიისა და „ტელეიმედის“ გასხვისების საქმეზე გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი 21 თებერვალს, 12.00 საათზე განახლდება.

საქალაქო სასამართლოში პროცესზე ბრალდების მხარის ორი მოწმე დაიკითხა, რომლებიც წარმოადგენდნენ შპს „ახალ რიყეს“. როგორც გიგი უგულავას ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განაცხადა: „მათ ჩვენებაში საუბარი იყო ახალი რიყის საქმიანობის თაობაზე, რასაც არავითარი შემხებლობა და არავითარი მტკიცება არ აქვთ უგულავასა და კეზერაშვილის ბრალეულობასთან. ეს ჩვენებები ასახავდა შპს-ს საქმიანობის პროცედურებს და საერთო არაფერი ჰქონდა დანაშაულთან“, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

ბრალდების მხარის პროკურორის კახაბერ მურადაშვილის თქმით კი, „ახალი რიყის ფინანსურმა დირექტორმა დაადასტურა ის ფაქტი და გარემოება, რომ ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე ჯოზეფ ქეიმ „იმედის“ დათმობის სანაცვლოდ 10 მილიონი დოლარი მიიღო და ეს ხელშეკრულება იყო ფიქციური“. (ინტერპრესნიუსი)

## ჩიქოვანი ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს



საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ინტეგრაციის საკითხებში ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ქვეკომიტეტი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკითხების კომიტეტში შედის, რომელშიც ჩიქოვანი უკვე ერთი წელია საქმიანობს. დეპუტატის განცხადებით:

„ჩემთვის დიდი პატივია ჩემი კოლეგების მხარდაჭერა. ქვეკომიტეტი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებთან ერთად მუშაობს დევნილების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მიგრანტების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებზე, ასევე მათთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მოგვარებაზე. აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, საქართველოში არსებული ასობით ათასი დევნილის არსებობის გამო. მადლობას ვუხდი კოლეგებს ნდობისთვის და ჩემი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ყველა პრობლემა მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოგვარდეს“, – აღნიშნა ირაკლი ჩიქოვანმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ალიაქოთი



# როდის შეხვდა სააკაშვილი დათა ახალაიას მეორედ?

ნინაგს ერთი საინტერესო თვისება აქვს, როცა მსხვერპლს გადაყლაპავს, მისი მონელება უჭირს და სიმწრით ცრემლი მოსდის. გამოთქმაც „ნიანგის ცრემლები“ სწორედ აქედან მომდინარეობს და ნიანგის ცრემლები გუშინ ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე აღვარღვარა. ვანო ხომ იცით, რომელია, ნიანგივით ორი გვამი რომ უნდა გასაძღომად, თუმცა როცა ამას სთხოვდა დათა ახალაიასა და ერეკლე კოდუას, მაშინ აშკარად არ ფიქრობდა იმაზე, რომ, ადრე თუ გვიან, პასუხისგება მოუწევდა. ვანოს შევახსენებთ, მთელი 9 წლის განმავლობაში იმას გვიკიჟინებდა, რუსულ აგენტურას ვებრძვი, მუხროვანის ამბოხიც რუსების დაგეგმილი იყოო და... მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, ვანო!!!

ინტერნეტით გავრცელებული კადრები არ არის დამონტაჟებული და ფილმად ქცეული, ისე, როგორც თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აკეთებდნენ. შესაბამისად, კარგად ჩანს, ვის რა უნდა და რატომ. მერაბიშვილი ჯარისკაცებში ნაპოლეონივით დადის და არ იცის, რომ ეს მისი ვატერლოოა, არც ის იცის, რომ მისი ქილერები წადილს ვერ აუსრულებენ და ორის ნაცვლად მხოლოდ ერთ გვამს მიუტანენ. კადრში ჩანს გიგი უგულავაც, რომელიც კი ამტკიცებს, შემთხვევით მოვხვდი იქო, მაგრამ ის, რომ საბრძოლო მოქმედებებში ქალაქის მერი აქტიურად იყო ჩართული, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც გამოჩნდა. კადრების გავრცელებისთანავე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა, დავით პაიჭაძის ხელმძღვანელობით, ერთჯერადი საფენები მოიმარჯვეს და იმის წმენდას შეუდგნენ, რამაც სუნი დააყენა.

სხვათა შორის, თავის დროზე, როცა სააკაშვილს ჰკითხეს, დათა ახალაიაზე რას იტყვიო, გაიოცა, რა უნდა ვთქვა, სულ ორჯერ მყავს ნანახი და არც კი ვიცნობო. ერთხელ სადაც ნახა მიშამ დათა, ყველამ ვიხილეთ და ახლა საინტერესო ის არის, მეორედ რომელი სასაკლაოს მოწყობის წინ შეხვდნენ ერთმანეთს პრეზიდენტი და კუდ-ის ყოფილი შეფი.

მიმდინარე აჟიოტაჟის პარალელურად, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა კონფერენცია ჩაატარეს და პარტიის რებრენდინგის შესახებ გააკეთეს განცხადება. გუშინვე ითქვა, რომ მერობის კანდიდატის გამოსავლენად „ნაციონალები“ პრაიმერისს ჩაატარებენ, რომელშიც მონაწილეობას გიორგი ვაშაძე და გიგი უგულავა მიიღებენ. თავიდან პრაიმერისში შოთა მალაშხიას მონაწილეობაც იგეგმებოდა, მაგრამ მას გაუპროტესტებია, მეყო, რაც ხალხმა საპრეზიდენტო პრაიმერისში მონაწილეობის გამო დამცინაო. გუშინ გოკა გაბაშვილიც გამოვიდა სიტყვით და განაცხადა, ჩვენი პარტია იდეებისა და ღირებულებების გარშემო არსებული ადამიანების ერთობა გახლავთო. რა ღირებულებები აქვთ „ნაციონალებს“, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ამის მიუხედავად, ნაცლიდერები არ მალავენ, რომ პარტიაში წევრების გაზრდას ელიან და ჩვენი აზრით, ეს რომ მოხდეს, ქართულ საშაურმეებში ვირის ხორცის დოზა არნახულად უნდა გაიზარდოს, სხვაგვარად ადამიანის იმ დონეზე გამოთაყვანება, „ნაციონალებს“ მანდატისთვის მიაკითხოს, უბრალოდ, შეუძლებელია.

„ამ კადრებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო დანაშაულებრივი და კრიმინალური ორგანიზაცია, ისინი ყოველ წუთს არღვევდნენ ადამიანის უფლებებს“. ასე გამოეხმაურა გავრცელებულ კადრებს ნინო ბურჯანაძე და... რა ვერ გავიგე, იცით? თუ „ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალური ორგანიზაცია იყო და ყოველ წუთას ადამიანის უფლებებს არღვევდა, 2009 წლამდე რატომ ვერ დაინახეთ, ქალბატონო ნინო? უი, გამახსენდა, იმიტომ ვერ დაინახეთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ჩაქუჩი გედოთ წინ და ხედვაში ხელს გიშლიდათ. მერე, როცა ის ჩაქუჩი გვერდზე გაწიეს, კი გამოჩნდა ყველაფერი, მაგრამ რაღა დროს...

შალვა ნათელაშვილი არც თოვლს შეუშინდა, არც ტალახს და ვარკეთილის დასახლებაში იმ ადგილზე მივიდა, სადაც გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობს. „ლეიბორისტთა“ ლიდერის ინფორმაციით, ამ ადგილას შენდება ჩინური ქალაქი, სადაც მალე 130 ათასი ჩინური ოჯახი ჩამოსახლდება. ნათელაშვილმა მოითხოვა ამ მშენებლობის შეჩერება და განაცხადა, სახლებში საქართველოს მოქალაქე უსახლკაროები უნდა შევასახლოთო. აი, ასე ზრუნავს ბატონი შალვა საკუთარი პარტიის წევრებზე, თუმცა მეორე მხრივ, თუ აღნიშნული სახლები მართლაც 130 ათასი ჩინური ოჯახისთვის შენდება, მალე ვარკეთილს სახელი გადაერქმევა და „ვარჩინელი“ დაერქმევა. თან ხომ იცით ეგენი როგორ მრავლდებიან? ორი რომ დაწვება, სამი დგება დილით... ისე, „ნაციონალები“ პარტიაში შეიძლება ჩინელების გაწევრიანებას აპირებენ და არ გვეუბნებიან. მერე ნახეთ, „ნაცები“ პრაიმერისში ჩინელსაც რომ მიაღებინებენ მონაწილეობას და კანდიდატად ვინმე სიუ ჰოუ ჩხუი რომ ეყოლებათ. პრინციპში, სიუს და ჰოუს რა გითხრათ, მაგრამ ჩხუიების ნაკლებობას არც ახლა უნდა განიცდიდნენ.

ისე როგორ იქნებოდა, „ქართული ოცნების“ რომელიმე წარმომადგენელს საკუთარი აზრებით არ გავეწებივრებინეთ და ეს მისია ამჯერად დავით ონოფრიშვილმა იკისრა. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, თურმე ბიუჯეტში 600-მილიონიანი, ბოდიშით და, გარღვევა იმან გამოიწვია, რომ ეკონომიკა 3.5 პროცენტით გაიზარდა. როგორია? ეკონომიკა გაიზარდა, მაგრამ ბიუჯეტი გაირღვა. ონოფრიშვილის განმარტებით, ეკონომიკა 6 პროცენტით უნდა გაზრდილიყო და გარღვევასაც ავცდებოდით, ანუ გარღვეული ბიუჯეტის ამოკემსვას, სულ რაღაც, 2.5-პროცენტიანი ზრდა სჭირდება.



როგორც იქნა, სააკაშვილის ამერიკაში ყოფნის გამო, იქაურმა მხარემ სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა და საქართველოში მეთიუ ბრაიზა გამოგვიგზავნა. ბრაიზა მიშას დარად უმუშევარია და ვერ გეტყვით, მას აქ ლექციების წაკითხვას დაავალებენ-თქო, მაგრამ ჩვენი ამერიკელი მეგობრები ამბობენ, როგორც ჩვენ ვიტანჯებით, თქვენც ისე უნდა დაიტანჯოთო. ბრაიზა ხომ გახსოვთ, რომელია? თურქეთში მაგის ქორწილი კობა ნაყოფიას ორ მილიონ დოლარზე მეტი რომ დაუჯდა, სწორედ ის გახლავთ. ახლა არ დამიწყოთ, ბრაიზას ქორწილი ქართული მხარის გადასახდელი რატომ გახდაო, თორემ იმას გაგახსენებთ, სად რა ფული აქვს წინა ხელისუფლებას დახარჯული და ბრაიზას დაქორწინება ფასს დაკარგავს.

დასასრულ, პარლამენტარი გოგა ხაჩიძე მიმდინარე მოვლენებით აშკარად კმაყოფილია და იმასაც ამბობს, ვანო ზუსტად ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, აბა, ყვავილებს ხომ არ დაკრეფდაო. სად ეცალა ყვავილების საკრეფად, გვამები ჰქონდა საკრეფი და როცა შემოელეოდა, ასეთ ბრძანებებს იძლეოდა: „ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება... პრემია დიდია“... ჰოდა, დიდი ელოდება ვანოს, დიდი...

**ლევან ღვინიაშვილი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილის ქმედება აშკარად დანაშაულის ნიშნებს შეიცავს




„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შეფასებით, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ივანე მერაბიშვილის მიერ სპეცრაზმელებისთვის მიცემული დავალება აშკარად დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

„სოციალურ ქსელსა და მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებში გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი შემდეგი სიტყვებით მიმართავს სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლებს: „მინდა მე ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, ვსიო, პრემია დიდია“.

ვიდეომასალის ავთენტურობის გარკვევის შემდეგ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, როგორ დაიგეგმა მუხროვანის სპეცოპერაცია, როგორ მოხდა მისი განხორციელება და წინასწარ იქნა თუ არა მიზნად დასახული რომელიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. გამოძიება უნდა წარიმართოს ყოველმხრივ და გაირკვეს არა მხოლოდ ივანე მერაბიშვილის ბრალეულობის საკითხი, არამედ ვიდეომასალაში ასახული სხვა პირების ქმედებაში არის თუ არა დანაშაულის ნიშნები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველთვის არსებობდა შეკითხვები მუხროვანის მოვლენების მონაწილეთა მიმართ დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების კანონიერებასა და დასაბუთებულობასთან დაკავშირებით. თუმცა, პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, მის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი თუ განხორციელებული სპეცოპერაციის მიზანი უნდა იყოს შესაძლო მსხვერპლის თავიდან აცილება, მთელი ძალისხმევის იქით მიმართვა, რომ მოხდეს სავარაუდო დამნაშავეთა დაკავება და მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა. დაუშვებელია, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სპეცოპერაციის მიზანს წარმოადგენდეს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ვაზიანი-გომბორი-თელავის მონაკვეთზე აკრძალვა დაწესდა



ინტენსიური თოვის გამო, ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის გარკვეულ მონაკვეთზე აკრძალვა დაწესდა. გზების დეპარტამენტის ცნობით, გზის კმ28-კმ65 (სასადილო-თელავი) მონაკვეთში მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობაა აკრძალული.

„ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კმ32-კმ56 (ვაზიანი-შუამთა) მონაკვეთში დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია“, – აცხადებენ დეპარტამენტში. (ინტერპრესნიუსი)

## ფეხმძიმეებს სტრესისგან შოკოლადი იცავსო



ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ფეხმძიმეებს განსაკუთრებული ყურადღება და მოვლა სჭირდებათ, განსაკუთრებით კი იმაზე ზრუნვაა საჭირო, რომ მომავალ დედას თუნდაც მცირე სახის ნერვიულობა არ შეხვდეს, რაც ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს როგორც თავად მასზე, ისე ჩანასახზე.

როგორც ირკვევა, შვეიცარიელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ორსულის რაციონის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი პროდუქტი შოკოლადია, რადგან სწორედ ეს ტკბილეული ეხმარება მას ფეხმძიმობის დადებითად განვითარებაში, გადატანაში და ასევე, შეუძლია მომავალი დედა სტრესისგან დაიცვას.

შვეიცარიელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შოკოლადის მოყვარული დედების შვილები გაცილებით აქტიურები, თამამები, მხიარულები არიან და გარდა ამისა, დიდ სოციალურ აქტიურობასაც ავლენენ.

როგორც ხედავთ, შოკოლადს მართლაც სერიოზული დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია, თუმცა სპეციალისტები იმასაც აქცევენ ყურადღებას, რომ შესაძლოა, ამ ტკბილეულმა ბავშვებში ალერგიაც გამოიწვიოს. შესაბამისად, აუცილებელია შოკოლადის ზომიერ ფარგლებში მიღება.



ოპტიმალური დოზა ჯერჯერობით, დადგენილი კიდევ არ არის და ამ საკითხზე მეცნიერები ახლაც მუშაობენ, თუმცა იმას კი ამბობენ, რომ თავიანთი კვლევის ახალი შედეგების გახმაურებამდე, ორსულებმა შოკოლადი აუცილებლად მიიღონ, ოღონდ ზომიერად!

***myjane.ru***

## იყიდება ბიუსტჰალტერები... 2-3 წლის ბავშვებისთვის



ბავშვების ზედმეტად ადრეულ ასაკში განვითარება ექსპერტებში სერიოზულ შეშფოთებას, მშობლებში – დაბნეულობას იწვევს – „მინი უფროსებად“ უკვე არა მოზარდები, არამედ მცირეწლოვანი ბავშვები იქცევიან, რომლებიც ილებავენ ფრჩხილებს, იყენებენ პომადებს, იცვამენ ბიუსტჰალტერებსა და სექსუალურ ტანსაცმელს და რაც მთავარი და შემაშფოთებელია – სექსუალურ ცხოვრებასაც იწყებენ!

სპეციალისტების განმარტებით, თანამედროვე ბავშვები გარდატეხის ასაკში 5-6 წლით ადრე გადადიან, ვიდრე ძველი თაობის წარმომადგენლები. უკვე პირველ კლასებშივე, პატარები მშობლებისგან მოითხოვენ მსოფლიოს წამყვანი ბრენდების ტანსაცმელს, მოდურ ვარცხნილობებს, მანიკიურს. 8 წლის ასაკში, ფიგურის „დასაყენებლად“, ბავშვები უკვე დიეტებზეც ფიქრობენ, ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ პირველ სექსუალურ გამოცდილებას, ისინი 11 წლის ასაკში იღებენ, ან მასზე ღიად საუბრობენ!

მოვლენების ასეთი განვითარება აღელვებს არა მხოლოდ მშობლებს, უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამენ ფსიქოლოგებიც.

– იმის ნაცვლად, რომ უდარდელი ბავშვობით დატკბნენ, გოგონები დეპრესიაში ვარდებიან, რისი მიზეზიც მათი პირადი ცხოვრების არევ-დარევაა. თავიანთ თავს ბავშვები შოუბიზნესის ვარსკვლავებს ადარებენ და სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც, ბუნებრივია, არსებობს, კომპლექსებით იტანჯებიან. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ პატარები კატასტროფული ტემპებით იზრდებიან, რაც, სამწუხაროდ, სიკეთის მომტანი ვერ იქნება, – ამბობენ სპეციალისტები, თუმცა ამ მართლაც უსიამოვნო მოვლენის მოგვარების გზებზე, ჯერჯერობით, ვერაფერს ამბობენ.

***mainfun.ru***

## გრეიფრუტი – შესანიშნავი საშუალება ღრძილების დაავადებების წინააღმდეგ



გრეიფრუტის სამკურნალო თვისებებზე ამ ცოტა ხნის წინათაც მოგიყევით და ღრძილების პრობლემებს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ესეც მოგახსენეთ. მოდით, დღეს ეს ორი თემა გავაერთიანოთ:

გერმანელ მეცნიერებს დაუდგენიათ, რომ ღრძილების პრობლემებთან ბრძოლა შესაძლებელია გრეიფრუტის დახმარებით, რომელიც სასურველ შედეგებს განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მიგაღებინებთ. ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, საკმარისია ყოველდღიურ რაციონში ორი ცალი გრეიფრუტის დამატება, რომ პირის ღრუში ანთებითი პროცესების განვითარების ინტენსივობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებმა ღრძილების ქრონიკული დაავადებების მქონე 58 ადამიანის მდგომარეობა შეისწავლეს და 2 კვირის განმავლობაში ისინი გრეიფრუტით გამოკვებეს.

ექსპერიმენტის მონაწილეების ხელმეორედ შემოწმებამ ცხადყო, რომ მათ სისხლში ცე ვიტამინის შემცველობა მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი, რაც სწორედ პირის ღრუს დაავადებების პროფილაქტიკის ბრწყინვალე საშუალება გახლავთ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ღრძილების დაავადება ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მწვავე პრობლემად იქცა, რომელიც განაპირობებს ისეთ უსიამოვნებებს, როგორებიცაა, მაგალითად, უშვილობა, გულის მწვავე უკმარისობა, კბილების დაკარგვა და ასე შემდეგ.

***medkarta.com***

## რატომ არის მნიშვნელოვანი ოჯახური სადილი?



წარსულის ტრადიციას, რომელსაც ერთობლივი ტრაპეზი ეწოდება, დღეს ძალიან ცოტა ადამიანი თუ აქცევს ყურადღებას და იხსენებს, რაც საუკეთესო გადაწყვეტილება ნამდვილად არ ყოფილა, რადგან კერძების ერთობლივად დამზადებისა და დაგემოვნების პროცესს თურმე, არაერთი ოჯახის გადარჩენა შეძლებია.

აღნიშნული ფაქტის დასტურად, შოტლანდიელი მეცნიერები კვლევის შედეგებს იშველიებენ, რომლის ფარგლებშიც, ისინი ათასობით ოჯახს აკვირდებოდნენ.

როგორც ირკვევა, ერთობლივი ტრაპეზის ტრადიციას 10 ათასი ოჯახიდან მხოლოდ 20 პროცენტი მისდევს და სპეციალისტების განმარტებით, ჯანსაღი ურთიერთობა სწორედ მათში უფროა შენარჩუნებული, ვიდრე იმ ადამიანებში, რომლებსაც რიგი მიზეზების გამო, ცალ-ცალკე უწევთ ჭამა.

– ოჯახები, რომლებიც სამზარეულოს მაგიდასთან ერთად სხდებიან, შესანიშნავ ურთიერთობას წლების განმავლობაში ინარჩუნებენ, ხოლო დანარჩენების შემთხვევაში, ძალიან ხშირად გვხვდება განქორწინების ფაქტები, – ამტკიცებენ შოტლანდიელი მკვლევარები.

***fresher.ru***

## აუქციონზე ნაპოლეონის სკამი გაიყიდება



საქმე ეხება სკამს, რომელზეც თვით ნაპოლეონ ბონაპარტე ვატერლოოს ცნობილი ბრძოლის წინ ისვენებდა და რომელიც საკმაოდ კარგად ყოფილა შემონახული.

ისტორიული რელიკვიის საწყისი ფასი 20 ათასი ფუნტი სტერლინგია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში გაცილებით დიდ თანხას გადაიხდიან.

აუქციონის ორგანიზატორების თქმით, ნაპოლეონს კვლავაც ძალიან დიდ პატივს სცემენ მთელ ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, რაც, პრინციპში, ბუნებრივიცაა და სწორედ აქედან გამომდინარე, ცნობილი მხედართმთავრის სკამი, რომელიც ამ დრომდე ერთ-ერთ ლონდონურ ოჯახში ინახებოდა, კოლექციონერებში უკვე ძალიან დიდ ინტერესს იწვევს.

***vesti.ru***

## იტალიელმა მძღოლმა 11 წუთში საგზაო მოძრაობის 25 წესი დაარღვია




ალბათ, ზოგს სისხლში აქვს გამჯდარი – კანონი რომ არ დაარღვიოს, ცუდად გახდება და ჩათვლის, რომ ის დღე უნაყოფოდ გალია.

აბა, 11 წუთში 25 წესის დარღვევა ხუმრობა საქმეა?!

ეს უჩვეულო შემთხვევა შვეიცარიაში მომხდარა – 47-მა იტალიელმა მძღოლმა, რომელიც პოლიციისგან თავის დახსნას ცდილობდა, 11 წუთის განმავლობაში საგზაო წესები 15-ჯერ დაარღვია.

დევნა მას შემდეგ დაწყებულა, რაც ყველგანმავლით მოძრავ მძღოლს სველ ასფალტზე 160 კილომეტრ/საათის სიჩქარით გაუვლია და პოლიციას არ დამორჩილებია.

მძღოლი პოლიციის მითითებას მაშინაც კი არ დაემორჩილა, როცა ისინი კვალში ჩაუდგნენ და რაციით გაჩერება მოსთხოვეს.

დევნის დროს, ყველგანმავლის მძღოლმა გზის მონაკვეთი, რომელზეც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, 140 კილომეტრ/საათის სიჩქარით გაიარა, რითიც დაწესებულ ლიმიტს ორჯერ გადაამეტა.

საბედნიეროდ, სახიფათო დევნას სავალალო შედეგი არ გამოუღია, 11 წუთის შემდეგ კი დაუმორჩილებელი მძღოლი სამართალდამცველების ხელში მაინც აღმოჩნდა.

***auto.lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# საინტერესო ფაქტები ადამიანზე



– ადამიანი, რომელიც დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევა, წელიწადში ნახევარ ჭიქა ფისს სვამს.

– ადამიანი ცხოველური სამყაროს ერთადერთი წარმომადგენელია, რომელსაც პირდაპირი ხაზების გავლება შეუძლია.

– იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი თმას მთელი ცხოვრების განმავლობაში არ შეიჭრის, კულულების სიგრძე დაახლოებით 725 კილომეტრს მიაღწევს.

– როცა ადამიანი იღიმის, ამ დროს მისი 17 კუნთი იტვირთება.

– ადამიანის დეენემი მინიმუმ 80 ათას გენს შეიცავს.

– ადამიანის ხელის თითოეული თითი მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში დაახლოებით 25 მილიონჯერ იხრება.

– ადამიანის გულის ზომა მისავე მუშტის ზომას უდრის, ხოლო წონა დაახლოებით 220-260 გრამია.

– ადამიანის ორგანიზმი მხოლოდ ოთხ მინერალს შეიცავს: აპატიტს, არაგონიტს, კალციტსა და კრისტობალიტს.

– ადამიანის ტვინი ერთ დღეში უფრო მეტი ელექტროიმპულსის გენერირებას ახდენს, ვიდრე ერთად აღებული მთელი მსოფლიოს ტელეფონები.

– ადამიანის ორგანიზმში ჩაბუდებული ბაქტერიების საერთო წონა 2 კილოგრამს შეადგენს.

– ერთ წამში ადამიანის თავის ტვინში დაახლოებით 100 ათასი ქიმიური რეაქცია ხდება.

– ადამიანის სწორი ნაწლავის სიგრძე მისი სიცოცხლის მანძილზე 2,5 მეტრია, ხოლო გარდაცვალების შემდეგ, როცა კუნთები სუსტდება, მისი სიგრძე უკვე 6 მეტრს აღემატება.

– ადამიანს დაახლოებით 2 მილიონი საოფლე ჯირკვალი აქვს. ყოველ ერთ ლიტრ გამოყოფილ ოფლზე კი 540 კალორია იწვება. ამასთანავე, მამაკაცები 40 პროცენტით ხშირად ოფლიანდებიან, ვიდრე ქალბატონები.

– ადამიანის მარჯვენა ფილტვი უფრო მეტ ჰაერს იტევს, ვიდრე მარცხენა, თუმცა რა არის ამის მიზეზი, უცნობია.

– ზრდასრული ადამიანი დღის განმავლობაში დაახლოებით 23 ათას ჩასუნთქვას (და ამოსუნთქვას) აკეთებს.

– ადამიანის თვალს დაახლოებით 10 მილიონი ფერის აღქმა შეუძლია.

– ადამიანის პირში მინიმუმ 40 ათასი ბაქტერია ბუდობს.



– გახელილი თვალებით დაცემინება შეუძლებელია.

– მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალბატონები თვალებს 2-ჯერ უფრო ხშირად ახამხამებენ.

– ადამიანის ორგანიზმის ყველაზე ძლიერი კუნთი... ენაა.

– ახლად დაბადებული ბავშვის ორგანიზმში 300 ძვალია, ზრდასრულის შემთხვევაში კი მათი რიცხვი 206-მდე მცირდება.

– ნერვული იმპულსები ადამიანის ორგანიზმში დაახლოებით 90 მეტრ/წამის სიჩქარით გადაადგილდებიან.

– ადამიანის თმა საპნის ბუშტზე დაახლოებით 5 ათასჯერ სქელია.

– 36 800 000 – ადამიანის გულისცემის რაოდენობა 1 წლის მანძილზე.

– ხელის ფრჩხილები დაახლოებით 4-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ფეხის.

– მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანის კანი დაახლოებით 1000-ჯერ იცვლება.

***factroom.ru***



– დედა, რა გჭირს, მე ხომ უკვე 16 წლის ვარ და პომადის წასმას როგორ მიკრძალავ?

– ხმა ჩაიწყვიტე, გივიკო!..

*****



ქმარი ცოლს:

– საყვარელო, ეს წვნიანი გუშინდელია?

– მეტსაც გეტყვი, ძვირფასო – ეგ წვნიანი ხვალინდელიცაა!!!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***




**სკანვორდი**
ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



## ლუკა გორგოძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს, გაიზარდე საქართველოს სასახელო შვილი, მშობლების საყვარელი, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

*შენი საყვარელი ბაბუა გივი და ბებია მერი ფრუიძეები*

## პირსინგი ენაზე = სიკვდილს?!



ზოგიერთისთვის მოდა მხოლოდ ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი. ზოგი ცდილობს, მოდას არ ჩამორჩეს, დანარჩენები კი ისე უსწრებენ მას, უკან მოხედვას ველარ ახერხებენ და იმასაც არად დაგიდევენ, რომ შესაძლოა, სიცოცხლე დროზე ადრე დაასრულოს.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ სულაც არ არის აუცილებელი ადამიანმა დამატებითი ნახვრეტები გაიკეთოს, მით უმეტეს, ისეთ ადგილებში, რომლებიც სიცოცხლესა და ჯანმრთელობას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიან.

ამ შემთხვევაში, საქმე ეხება პირსინგს ენაზე, რაც, საბედნიეროდ, საქართველოში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა ლითონის დეტალის გამო მოჩლიფინე ადამიანებს აქა-იქ მაინც შეხვდებით.

ებრაელი მედიკოსების განმარტებით, ენაზე გაკეთებულ პირსინგს შესაძლოა, თავის ტვინის ინფექცია მოჰყვეს, რაც ხშირ შემთხვევაში, ფატალური შედეგით სრულდება.

საერთოდ, ამ საკითხით ებრაელი სპეციალისტები მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც 22 წლის სრულიად ჯანმრთელი ახალგაზრდა ენაზე პირსინგის გაკეთებიდან დაახლოებით 2 კვირაში გარდაიცვალა.

ახალგაზრდის გაკვეთის შედეგად აღმოჩნდა, რომ მისი ტვინი, ფაქტობრივად, ჩირქით იყო გავსებული და განადგურებული.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ადამიანის სიცოცხლე ასე უაზროდ არ მთავრდება, პირსინგი იწვევს კბილების გაფუჭებას და პირის ღრუში უამრავი ინფექციის გაჩენას, მაგრამ ყველაზე საშიში ის გახლავთ, როცა ანთება, რომელიც ენის გახვრეტას აუცილებლად მოსდევს, უფრო სერიოზულ დაავადებებს ავითარებს.

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია
სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს
ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**31 იანვარი:** შესაძლოა, ფსონი იმაზე არ დადეთ, ვისზეც უნდა დაგედოთ. პრობლემა ის კი არ არის, რომ რაღაც ისე ვერ გააკეთეთ, უბრალოდ, სხვა ობიექტისკენ მიმართავთ ძალისხმევას.

**კურო 22.04-21.05**
**31 იანვარი:** დღეს ძალიან ენერგიული იქნებით, თუმცა მოჭარბებული ენერგია უსიამოვნებებსაც შეგიქმნით. გამოსავლის ძიებაში შეიძლება არასწორი კურსით წახვიდეთ. წინდახედულება გამოიჩინეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**31 იანვარი:** შეიძლება შფოთმა შეგიპყროთ და საკუთარი თავისადმი რწმენა დაკარგოთ. როგორც ჩანს, ეჭვი შეგეპარებათ თქვენი მოქმედებების სისწორეში.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**31 იანვარი:** შეიძლება აკვიატებული იდეის მსხვერპლი აღმოჩნდეთ. საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი დაითვლით, ამ იდეის განხორციელება რა დაგიჯდებათ.

**ლომი 23.07-22.08**
**31 იანვარი:** არ ჩაერიოთ არც ერთ მოვლენაში ისე ღრმად, რომ პრობლემები შეგექმნათ. ამით გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**31 იანვარი:** შეიძლება ხასიათი გაუფუჭოთ საკუთარ თავსაც და სხვებსაც მხოლოდ იმის გამო, რომ არ გეცოდინებათ, რა გინდათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**31 იანვარი:** შეეცადეთ, პრობლემები დაივიწყოთ და ეს დღე ისე გაატარეთ, როგორც მოგესურვებათ. აზრებს დაალაგებთ და ხვალიდან ახლებურად შეუდგებით საქმეს.

**მორიელი 23.10-21.11**
**31 იანვარი:** ახლობლები, თქვენდა გასაკვირად ლოიალურნი იქნებიან თქვენი მოქმედებებისა და ყურადღებიანი თქვენი ნათქვამის მიმართ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**31 იანვარი:** დღეს პატარა საოცრების მოხდენას შეძლებთ, თუკი მოინდომებთ. ოღონდ, არ გაამჟღავნოთ, რომ თქვენი ნამოქმედარია, ხიბლს დაკარგავს. თავად მიხვდებიან, ვინ არის ავტორი.

**თხის რქა 22.12-19.01**
**31 იანვარი:** შეეცადეთ, თავში მოსული პირველივე იდეის გავლენის ქვეშ არ მოექცეთ, ეს იდეა ამას არ იმსახურებს.

**მერწყული 20.01-18.02**
**31 იანვარი:** ყველაფერი თქვენი მოლოდინის საპირისპიროდ მოხდება, მაგრამ ხელების ჩამოშვება არ ღირს. შეიძლება მოგვიანებით აღმოჩნდეს, რომ ასე უმჯობესი იყო.

**თევზები 19.02-20.03**
**31 იანვარი:** იცით საკუთარი ფასი, ამიტომ შეგიძლიათ მეტი მოითხოვოთ. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, თქვენს თავხედურ მოთხოვნასაც კი დააკმაყოფილებენ.

## მურაბა — ნულოვანი შედეგი ორგანიზმისთვის



ზამთრისთვის სხვადასხვა ხილისგან მომზადებული კომპოტისა და მურაბის მომარაგება თითქმის ყველა ოჯახის ერთგვარი ტრადიციაა და ალბათ, ძალიანაც გიყვართ, მაგალითად, ლეღვისა და თეთრი ბლის მურაბები, საერთოდ, გიჟდებით კაკლის მურაბაზე...

არსებობს მოსაზრება, თითქოს მურაბების წყალობით იმ ვიტამინების მიღება შეიძლება, რომლებსაც ესა თუ ის ხილი შეიცავს, მაგრამ ბუნების თავისებურებებიდან გამომდინარე, ზამთარში არ ხარობს.

აღმოჩნდა, რომ, სამწუხაროდ, ვცდებოდით, თუკი ვიტამინების მიღებას მურაბების ხარჯზე ვცდილობდით, რადგან როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ხარშვის დროს ხილი ყველა სასარგებლო თვისებას კარგავს, რასაც, ცხადია, ადამიანის ორგანიზმისთვის არავითარი შედეგი არ მოაქვს.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ხილმა ვიტამინებით მოგვამარაგოს?

– გემრიელი ნაყოფით ზაფხულში უნდა ჩაიგემრიელოთ პირი და თუკი მაინც გსურთ, რომ არც ზამთარში დარჩეთ ხილის გარეშე, ასეთ შემთხვევაში, ნაყოფი კარგად უნდა გაყინოთ, – ასეთია სპეციალისტების რჩევა.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ამსტერდამი. ბავშვი ქვიშაში თამაშობს. აივნიდან ეძახიან:
– შვილო, ამოდი საჭმელი ჭამე!
– ახლავე, დედა!
– დედა არ ვარ მე, ბიჭო, მამა ვარ!
ბავშვი თავისთვის ჩაიბურდღუნებს:
– მოდი და არჩიე ეს პიდარასტები!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.05

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.